# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 ივნისი, 2010 წელი.

№106 (6472)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## წეროვანში დევნილებთან ერთად ჩინელები და საქონელი ცხოვრობს,

ანუ დევნილებმა რატომ უნდა თქვან უარი საქართველოს მოქალაქეობაზე? ③



## სოზარ სუბარი ხელისუფლებას სტრასბურგში უჩივის ②

## ოპოზიცია თავიდანვე განწირული იყო? ③

## როდის დაიწყებენ რუსეთი და თურქეთი საქართველოზე მეგობრულ საუბარს? ⑧

## „თავისუფლების ინსტიტუტის" თავხედობა, ②

ანუ დემოკრატია ქართულად

## მეორე პარლამენტის მშენებლობა — ელდორადო ქუთაისში? ④



## ⑤ ვინ დააბა ბიზნესი ჯაჭვით?

## ნაციონალებმა არჩევნებისთვის 14 მილიონი ლარი „შემოიწირეს!.." ⑥



## ⑨ რა ბედი ელის აფხაზეთში ქართული კულტურის ძეგლებს?

## როცა მიკრობიზნესს დასაკლავად ასუქებენ ⑤

## წიგნი, რომელსაც ნახევარი საუკუნე ელოდით... ⑨

**საპროტესტო აქცია**

# დემოკრატია არ ნიშნავს „თავისუფლების ინსტიტუტის" ან სხვათა დიქტატურას!



**გუშინ, ტელეკომპანია „კავკასიაში" 7 მაისს მომხდარი ინციდენტის შემდეგ დაპატიმრებულთა განთავისუფლების მოთხოვნით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა (ერთიანი ახალგაზრდული მოძრაობა „წინ", ახალგაზრდული მოძრაობა „არა", „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა", „ერეკლე II საზოგადოება", „ლეიბორისტები", „თავისუფლება", „კონსერვატორები", „გამარჯვებისთვის"ძ საპროტესტო მსვლელობა გამართეს.**

საპროტესტო მსვლელობა რუსთაველის გამზირიდან დაიწყო და ტელეკომპანია „კავკასიის" წინ მდუმარე აქციით დასრულდა. აქციაში მონაწილე ორგანიზაციებისა და პარტიების წარმომადგენლებმა განცხადებები გააკეთეს და შოთა აფხაიძის, გიორგი გაბედავას, რატი მაისურაძის, ლევან ჩაჩუას, ზვიად ბლიაძის, ავთანდილ ზუმბაძის, დავით შალამბერიძის დაკავებაში ბრალი „თავისუფლების ინსტიტუტსა" და ტელეკომპანია „კავკასიის" ჟურნალისტებს დასდეს.

„ჩვენ მივმართავთ „კავკასიას" სრულიად უკანონოდ დაპატიმრებული ახალგაზრდების გათავისუფლების მოთხოვნით! მოვითხოვთ, რომ დაიხუროს „თავისუფლების ინსტიტუტი" — მანქურთების თავშესაფარი. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტელეკომპანია „კავკასია" და „თავისუფლების ინსტიტუტი" შეთანხმებულად მოქმედებდნენ, რათა უდანაშაულო, მართლმადიდებელი ახალგაზრდები დაეპატიმრებინა ხელისუფლებას! არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება ამ ახალგაზრდების დანაშაულებისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოწმედ მოყვანილ 2 პოლიციელს.

ჩვენი საპროტესტო აქციები გაგრძელდება მოთხოვნის შესრულებამდე!

ჩვენც მართლმადიდებლები ვართ — დაგვაპატიმრეთ, ეს არის ჩვენი ლოზუნგი, რადგან თითოეულ მართლმადიდებელს საფრთხე ემუქრება"!

**თამთა ჭითანავა**

**სარჩელი**

# სოზარ სუბარი ხელისუფლებას სტრასბურგში უჩივის

**მას შემდეგ, რაც ყოფილი ომბუდსმენი სოზარ სუბარი არჩევნების მეორე დღესვე ალიანსს გაემიჯნა, საზოგადოების ინტერესს იწვევს, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიასთან აპირებს თანამშრომლობას. ყველაზე აქტიურად სუბარის ნინო ბურჯანაძესთან თანამშრომლობაზე ალაპარაკდნენ. რას იზამს სუბარი, ამას თავად გადაწყვეტს, თუმცა ამჯერად ის სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ჩივის.**




ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი. არასამთავრობო ორგანიზაცია **„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტმა"** ყოფილი სახალხო დამცველისა და მოქალაქე შიო კობიძის საჩივრები სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გადაგზავნა. საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს სპეცდანიშნულების რაზმების მიერ მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევისას სოზარ სუბარისა და შიო კობიძის კონსტიტუციური უფლებების დარღვევას, რა დროსაც ისინი სასტიკად სცემეს.

„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" ხელმძღვანელმა **ლია მუხაშავრიამ** გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ სოზარ სუბარის მიმართ ევროკონვენციის არაერთი მუხლი დაირღვა, თუმცა დღემდე არ არის შესწავლილი აღნიშნული შემთხვევა ქვეყნის საგამოძიებო ორგანოების მიერ. საგულისხმოა, რომ სოზარ სუბარი დაზარალებულად სცნეს და ერთხელ დაკითხეს კიდეც. ამ ფაქტზე გამოძიება 2007 წლიდან მიმდინარეობს, მაგრამ საქმე არ იხურება. აქედან გამომდინარე, მომჩივანი არ არის ვალდებული, დაელოდოს საქმის დამთავრებას. დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ევროპულ სასამართლოს მიმართოს. მუხაშავრიას თქმით, მართალია, ყოფილი სახალხო დამცველის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი ევროპარლამენტის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომელიც 2007 წლის ნოემბერში საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მიიღეს, მაგრამ საქმის გამოძიება დღემდე არ მომხდარა.

რაც შეეხება მოქალაქე შიო კობიძეს, ის აფხაზეთის ომის მესამე ჯგუფის ინვალიდი იყო. 7 ნოემბერს სპეცრაზმელებმა მაშინ სცემეს, როცა ის ჟურნალისტს გამოესარჩლა. კობიძე სხეულის დაზიანების გამო მეორე ჯგუფის ინვალიდი გახდა და სამსახური დაკარგა.

**„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს" ევროსასამართლოში სულ 70 სარჩელი აქვს გაგზავნილი. მათ შორის 15-მდე სარჩელი 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებში დაზარალებულ პირებს უკავშირდება.**

**თეა მოსია**

**ინფორმაცია**

## ზურაბ ნოღაიდელი ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდა

**„სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი პარიზში მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერს ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდა.**

როგორც „სამართლიანი საქართველოსთვის" პრესსამსახურში განაცხადეს, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და ოპოზიციურ ძალებს შორის თანამშრომლობის საკითხებს. მათივე ინფორმაციით, ნოღაიდელისა და ოქრუაშვილის შეხვედრის დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

## რატომ ემუქრება რუსი ჟურნალისტი ლიტველ დეპუტატს?

**„ედინაია როსიას" წარმომადგენელი ლიტველ დეპუტატს საქართველოს მხარდამჭერი დოკუმენტის რატიფიცირების გამო ემუქრება. დოკუმენტის რატიფიცირების ინიციატორი, ლიტველი დეპუტატი მანტას ადომინასი ამტკიცებს, რომ ბალტიის ზღვის საპარლამენტო კონფერენციის დასრულების შემდეგ მასთან „ედინაია როსიას" წარმომადგენელი ვალენტინა პირნენკო მივიდა და დაემუქრა, რომ მიღებული რეზოლუციისთვის პირადად მას მოუწევს პასუხისმგებლობა.**

ლიტველი დეპუტატი რუსი პარლამენტარის საქციელს უმსგავსობად აფასებს და ბალტიის ზღვის პარლამენტის ხელმძღვანელობის სახელზე საპროტესტო განცხადებასაც ამზადებს.

## ოკუპანტებმა კიდევ ერთი ქართველი დააკავეს

**რუსმა ოკუპანტებმა ზნაურის რაიონში კიდევ ერთი ქართველი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „რესი" ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. უშიშროების სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.**

მათი ინფორმაციით, დაკავებულია საქართველოს მოქალაქე 39 წლის ტარიელ ჯეირანაშვილი.

სეპარატისტები ჯეირანაშვილს ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ დაკავების დროს მას თან პირადობის დამადასტურებელი არანაირი მოწმობა არ ჰქონდა.

**ჯი-ეიჩ-ენ**

**ინიციატივა**

# ნარკომანია — ერის თვითმკვლელობა



**პატრიარქის და საპატრიარქოს ინიციატივები ყოველთვის საზოგადოების პრობლემებიდან გამომდინარეობს და იმ საკითხებზე ზრუნვას ემსახურება, რომლებიც შეიძლება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკა, თუმცა სწორედ გაუთავებელი პოლიტიკური პრობლემების გამო ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. საბედნიეროდ, ჩვენ ამ ძნელბედობის ჟამს გვყავს ადამიანი პატრიარქის სახით, რომელიც დაუღალავად ზრუნავს თავის სამწყსოზე. ყველა ხედავს, რა შედეგი გამოიღო უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს დამკვიდრებულმა ტრადიციამ, რომლის მიხედვითაც ჯვარდაწერილი ოჯახის ყოველ მესამე ან მომდევნო შვილს პატრიარქი ნათლავს.**

დემოგრაფიულზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ნარკომანიის პრობლემა, რომლის მოგვარებაშიც საპატრიარქო აქტიურადაა ჩართული. მხარდამჭერებთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს. განსაკუთრებით მოზარდი თაობისთვის, როგორც რისკ ჯგუფისთვის.

გუშინ საპატრიარქოს „ანტინარკოტიკული პროგრამის ფარგლებში" ანტინარკოტიკული ფონდის მთავარმა მენეჯერმა ირაკლი ქადაგიშვილმა ცენტრის ხელმძღვანელმა თეა გოგოტიშვილმა, „ავერსის" პრეზიდენტმა პაატა კურტანიძემ ნარკომანიასთან ბრძოლის სრულიად ახალი პროგრამა წარმოადგინეს, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არა აქვს.

**პროგრამა ითვალისწინებს კვლევების ჩატარებას მოზარდებს შორის იმის გამოსავლენად, თუ რამდენად არიან ისინი მიდრეკილნი ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის გამოყენებისკენ, ასევე დანაშაულის ჩადენისკენ.**

**თეა გოგოტიშვილი, „ანტინარკოტიკული ცენტრის" ხელმძღვანელი:** — ეს სრულიად ინოვაციური კვლევა ითვალისწინებს ფსიქო-ფიზიოლოგიურ ანალიზს და მიმართულია მოზარდებში ფსიქოლოგიური რისკ-ჯგუფების გამოსავლენად. როდესაც მივიღებთ კვლევის შედეგებს და გვეცოდინება იმ ადამიანების ვინაობა, რომლებსაც დასჭირდებათ ჩვენი დახმარება, მაშინ დაიწყება პროგრამის სხვა ეტაპი, რომელიც უკვე მკურნალობას ითვალისწინებს.

**პაატა კურტანიძე, „ავერსის" პრეზიდენტი:** — როდესაც გაჩნდა შემოთავაზება და გავეცანი კიდევ ერთ პროგრამას, რომელიც ანტინარკოტიკული პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს, დაუყოვნებლივ შევთავაზე „ავერსის" კლინიკის დახმარება, სადაც პროგრამაში მონაწილე საკვლევ პიროვნებებს სრულიად უფასოდ ჩაუტარდებათ თავის ტვინის ტომოგრაფიული გამოკვლევები.

აღსანიშნავია, რომ საპატრიარქოს „ანტინარკოტიკული ცენტრი" ხუთ წელზე მეტია რაც არსებობს და უკვე რამდენიმე სერიოზული პროგრამა განახორციელა.

კვლევაში, რომლის ჩატარებასაც ახლა აპირებენ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მონაწილეობა. მშობლებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი შვილი შეიძლება მიეკუთვნებოდეს რისკ-ჯგუფს, ივნისის ბოლომდე უნდა გაიარონ რეგისტრაცია. საბოლოო სიის დადგენის შემდეგ უკვე კვლევა დაიწყება. შედეგი კი მალე გახდება ცნობილი. თუ ინიციატივა სასურველ შედეგს გამოიღებს, ეს მომავალში აუცილებლად გაგრძელდება.

**ანა წიწილაშვილი**

ამასაც თუ ყოფა ჰქვია?

# წეროვანში ჩასახლებულმა დევნილებმა, შესაძლოა, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვან!



**წეროვანში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების პრობლემებით „პირველი“ დაინტერესდა და გაარკვია, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ოღონდ თავიდან.**

**როგორც მდგომარეობის გასაცნობად ადგილზე ჩასულ კორესპონდენტს თავად დევნილებმა განუცხადეს, საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის მსგავსად, მათთვისაც დასაქმება უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, თუმცა ამას საცხოვრებელი პირობების თვალსაზრისით ელემენტარული პრობლემების მოუგვარებლობა ემატება.**

კერძოდ, ნაჩქარევად გაშენებულ „ქალაქში“ დღითი დღე ახალ-ახალი პრობლემები ჩნდება: წვიმის დროს კოტეჯებში წყალი ჩადის, გზები კი იტბორება, საპირფარეშოებში იატაკია ჩავარდნილი, საკანალიზაციო სისტემები მწყობრიდან გამოდის, რის შედეგადაც ზოგიერთ უბანში სრული ანტისანიტარიაა და სეზონური დაავადებების გავრცელების საფრთხე იქმნება.

რამდენიმე თვის წინათ დევნილებს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი ეწვია და ამერიკული მხარის თანადგომის დასტურად დახმარება გადასცა – 1 კგ სუპის ფხვნილი თითო ოჯახს. „სუპი, რომელიც კერვალიშვილმა დაგვირიგა, საკვებად უვარგისი აღმოჩნდა. ის არ იხარშება და საშინელი სუნი აქვს. მსგავს საკვებს მხოლოდ შინაურ ცხოველს თუ აჭმევ, ადამიანს – ვერა, თუმცა ჩაეთვალათ, რომ დახმარება მოგვცეს“, – აცხადებენ დევნილები.

მათივე თქმით, დღემდე შეუსრულებელია ყველა ის პირობა, რომელიც კერვალიშვილმა სკოლის ადგილობრივ პედაგოგებს მისცა. „აღნიშნულ დასახლებაში დაახლოებით 2500 ოჯახია. ქალბატონ რუსუდანს სასაფლაოს, ტრანსპორტის, აფთიაქის, გზების, კანალიზაციის, სკვერის, სათავსოებისა და სხვა პრობლემებზე ვესაუბრეთ. ის დახმარებას დაგვპირდა, თუმცა დღემდე არავინ გამოჩენილა. საშინელ პირობებში გვიწევს ცხოვრება, უმუშევრობას აქ არსებული მდგომარეობაც ემატება. სამუშაო იარაღთან გვიწევს ძილი, რის შესახებაც ყველა შესაბამისმა სამსახურმა და პირმა იცის,




თუმცა ჩვენი პრობლემებით არავინ დაინტერესებულა, პატრონი არ გვყავს“, – აცხადებს მოსახლეობა, რომელიც უყურადღებობის გაგრძელების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას არ გამორიცხავს.

დასახლებაში დევნილები ორ კატეგორიად იყოფიან – დევნილებად და ორმაგ დევნილებად. „აქ ძირითადად ახალგორის და კოდორის ხეობის მოსახლეობა ვართ ჩასახლებული, გამგებელიც, შესაბამისად, სხვადასხვა გვყავს. ცეზარ ჩოჩელი – ახალგორის მოსახლეობის გამგებელი აქტიურად მონაწილეობს ხალხის დასაქმებაში, ყველანაირად ეხმარება მათ. ლიახვის ხეობიდან დევნილების გამგებელი კი დავით დათაშვილია, რომელიც მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკები ჩამოდიან. აღნიშნული ვიზიტების შესახებ ხალხი მხოლოდ ტელევიზორებიდან ვიგებთ, რადგან არც ხელისუფლება და არც ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლები მოსახლეობასთან არ ჩნდებიან. თუკი ვინმეს დასაქმების თხოვნით მივმართავთ, სიამოვნებით გვთანხმდებიან, თუმცა როდესაც იგებენ, რომ ლიახვის ხეობის მოსახლეობა ვართ, ცივი უარით გვისტუმრებენ“, – განაცხადეს ლტოლვილებმა.

ამასთან, ლიახვის ხეობის მოსახლეობა ახალგორელების დევნილობას ეჭვქვეშ აყენებს და აცხადებს, რომ ყველა მათგანს თავისუფლად შეუძლია საკუთარ სახლში შესვლა, სადაც ხშირადაც დადიან. „პირველმა“ რამდენიმე დაკეტილი კოტეჯიც აღმოაჩინა, რომლის მფლობელებიც ახალგორიდან დევნილები არიან. წეროვანში რამდენიმე გაქირავებული კოტეჯიც შეგვხვდა, სადაც ამჟამად „ბიზნესმენი“ ჩინელები ცხოვრობენ. არის ასევე კოტეჯი, სადაც არა დევნილები, არამედ მსხვილფეხა პირუტყვი უყენიათ.

**წეროვანში ჩასახლებული დევნილების პრობლემებზე სასაუბროდ „პირველმა“ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან დაკავშირება არაერთხელ სცადა, თუმცა კობა სუბელიანის უწყების სხვადასხვა სამსახურები ერთმანეთთან გვამისამართებენ და კითხვებზე პასუხს ამ გზით არიდებენ თავს.**

**ლექსო დუჩიძე**

განსჯა

# ოპოზიციური პარტიების ტაქტიკა ერთიანი კანდიდატის შემთხვევაშიც განწირული იქნებოდა



***30 მაისის თვითმმართველობის არჩევნებს საერთაშორისო ორგანიზაციები წინ გადადგმულ ნაბიჯად აფასებენ. ქართველი ექსპერტების და პოლიტიკოსების ნაწილის შეფასებით კი, წინა არჩევნებთან შედარებით, 30 მაისს ამ მხრივ განსაკუთრებული წინსვლა არ შეინიშნებოდა. მიუხედავად ამისა, არჩევნებმა უჩვეულოდ მშვიდ გარემოში ჩაიარა და შედეგები თითქმის ყველა პარტიამ აღიარა. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ჯი-ეიჩ-ენი“ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.***

**– ბატონო სოსო, 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ერთი კვირა გავიდა. ოპოზიციამ, მოლოდინის მიუხედავად, წინასწარი შედეგებით დიდი პროცენტით წააგო. როგორ ფიქრობთ, ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის შემთხვევაში რა შედეგი დაფიქსირდებოდა?**

– ვფიქრობ, ის ტაქტიკა, რომლითაც ოპოზიციური პარტიები მოქმედებდნენ, ერთიანი კანდიდატის შემთხვევაშიც განწირული იქნებოდა. ასეთ დროს, რასაკვირველია, ერთიანი კანდიდატი მისაღებია, მაგრამ გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის. გამარჯვებისთვის აუცილებელი იყო უფრო ადრე და ბევრად უფრო აგრესიული საარჩევნო კამპანია ეწარმოებინათ, ასევე მაქსიმალური მობილიზაცია უნდა გამოეყენებინათ იმ რესურსების, რაც ამა თუ იმ ოპოზიციური ძალის წარმოსაჩენად შეიძლება გამოეყენებინათ.

საჭირო იყო იმ ძალების მხილება და საზოგადოებისგან იზოლირება, რომელიც ქვეყანას კვლავ უსამართლო არჩევნების რეალობაში ამყოფებენ. მაგრამ არჩევნებამდე უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში უფრო ძლიერი კრიტიკა ოპოზიციის მხრიდან ერთმანეთის მიმართ ისმოდა, ვიდრე ხელისუფლების მიმართ. ამის გათვალისწინებით, სახელისუფლებო კანდიდატმა გიგი უგულავამ საარჩევნო კამპანია ოპონენტების მხრიდან პრაქტიკულად კრიტიკის გარეშე ჩაატარა.

**– და ეს უგულავას გამარჯვების კიდევ ერთი ფაქტორი გახდა?**

– აქ ბევრი სხვა კომპონენტი იყო. არჩევნების წინ ამით პროტესტის მუხტი შემცირდა. თორემ ეს არჩევნები იდეალური რომ არ იყო და წინა არჩევნებისგან ბევრით არ განსხვავდებოდა, ცხადია. არანაირი განსხვავება არ არის, საარჩევნო უბნებს კრიმინალები გააკონტროლებენ თუ „სახელისუფლებო მხედრიონი“.

ამასთან, პოლიტიკური პარტიები მხოლოდ არჩევნებში გამარჯვებაზე არიან ორიენტირებული და თუ როგორ უნდა განვითარდნენ არჩევნების შემდეგ, ამაზე მკაფიო ჩამოყალიბებული ხედვა არ აქვთ. ამომრჩეველი კი საკმარისად არ არის ინფორმირებული, გამარჯვების შემთხვევაში ვინ რას აპირებს. ამიტომ ისინი იძულებულები არიან, ხმა სახელსა და გვარს, ხმაურიან ლოზუნგს მისცენ და არა ქვეყნის განვითარების შესახებ გააზრებულ პროგრამას. ამაში თავისთავად პოლიტიკური ძალების გარდა საზოგადოებასაც მიუძღვის წვლილი. კერძოდ კი, მის პასიურ ნაწილს, რომელიც საკმაოდ დიდია და კერძო ინტერესებით შემოიფარგლება, უკეთეს შემთხვევაში კი მხოლოდ პოლიტიკოსების სახელსა და გვარს აძლევს ხმას.

**– საქართველოში პოლიტიკური ალიანსების შექმნა წინასაარჩევნო პრაქტიკად დამკვიდრდა. მიუხედავად ამისა, ვერც ერთმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ნაციონალურ მოძრაობას“ კონკურენცია ვერ გაუწია... არჩევნების დასრულების შემდეგ რამდენად მოსალოდნელია ამ გაერთიანების დაშლა და ძალთა ახალი გადაადგილებები?**

– ალიანსების ახალი დიზაინი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ტიპის ანალიზი გაკეთდება მისი წევრი სუბიექტების მხრიდან. თუ პოლიტიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ იმ შედეგის ყველა მიზეზი, რომელიც მათ არჩევნებზე მიიღეს, „ნაციონალური მოძრაობის“ დამსახურებაა, მაშინ შეიძლება მიიჩნიონ, რომ შიდა პრობლემები არ აქვთ და იმ კონსტრუქციის ერთგულები დარჩნენ, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებამდე ჰქონდათ. ჩემი აზრით, ეს მცდარი ნაბიჯი იქნება.

თუ თვითკრიტიკულები იქნებიან და საკუთარ თავს იმ რეალობას არ დაუმალავენ, რომელსაც ალიანსის ყველა წევრი გულში გრძნობს, ვფიქრობ, ცვლილება გარდაუვალი იქნება. აუცილებელია პოლიტიკური დაჯგუფებების გადახალისება და გამდიდრება როგორც რაოდენობრივად, ასევე შინაარსობრივადაც. გადაჯგუფების შემთხვევაში უფრო სოლიდური გაერთიანების ჩამოყალიბებას არ გამოვრიცხავ.

**– ტრადიცია გრძელდება და ოპოზიცია არჩევნების შემდეგაც ხელისუფლების კრიტიკის ნაცვლად ერთმანეთის კრიტიკით დაკავდა. კერძოდ კი, ირაკლი ალასანია და ნინო ბურჯანაძე ერთმანეთს ღიად აკრიტიკებენ...**

– ეს პოლიტიკური გემოვნების შეუთავსებლობის საკითხია. ბურჯანაძე და ალასანია დიდი ხანია ერთმანეთის მიმართ წინასაპრეზიდენტო საარჩევნო რეჟიმში არიან გადასული. ამის გათვალისწინებით კი ერთმანეთის კრიტიკა ყველა სახელმწიფოში მიღებული ფორმაა. თუმცა, ჩემი აზრით, წინასაარჩევნო რეჟიმში გადასვლა ნაადრევად მოუვიდათ.

**– თუმცა ღია კრიტიკით შეიძლება ბურჯანაძემ და ალასანიამ ერთმანეთს მხოლოდ რეიტინგი გაუფუჭონ, რითიც კვლავ მმართველი გუნდის კანდიდატი ისარგებლებს...**

– მოწინააღმდეგისთვის რეიტინგის გაფუჭება ყველა პოლიტიკოსის ამოცანაა, მაგრამ თუ ადრე კონკურენციის გამყოფი ხაზი კითხვაზე – „არჩევნები თუ ჭექა-ქუხილი“ გადიოდა, ახლა შეიძლება ეს ზღვარი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს სამართლიან საარჩევნო გარემოსა და რიგგარეშე არჩევნებს შორის. თუმცა ერთი მეორეს არ გამორიცხავს. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ უსამართლო გარემოში არჩევნები ახლავე ჩატარდება თუ ორი წლის შემდეგ, სულ ერთია.

**– რამდენად სავარაუდოა რიგგარეშე არჩევნების ჩატარება? როგორ ფიქრობთ, ქვეყანა ახალი არჩევნებისთვის მზად არის?**

– არჩევნებისთვის ხელისუფლების მზაობა გამოხატული იქნება იმ ნაბიჯებით, რომელსაც ისინი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის გადადგამენ. ჩვენი ძვირფასი და მიამიტი დასავლეთის დამკვირვებლები, რომლებიც პერიოდულად გვსტუმრობენ და დემოკრატიაში წინ გადადგმულ ნაბიჯებს გვილოცავენ, ხელისუფლების სიჯიუტეს ალბათ უფრო დაინახავენ ისეთ ელემენტარულ საკითხებში, რასაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება ჰქვია. აქ იმდენად მარტივია დასაბუთება იმის, როდის უფრო სამართლიანია არჩევნები და რა პირობებში, რომ ხელისუფლებას დიდი რესურსის დახარჯვა მოუწევს ამტკიცოს, ორჯერ ორი ორი არასდროს ყოფილა და არც იქნებაო.

**– რაც შეეხება ეროვნულ საბჭოს: მას შემდეგ, რაც საბჭოს ლიდერები არჩევნების არასამართლიან გარემოში ჩატარების შემთხვევაში „ბიშკეკიზაციით“ იმუქრებოდნენ, მათი უეცრად კულუარებში გადასვლა რას უნდა მოასწავებდეს. ხომ არ დარჩა „ეროვნული საბჭოს“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი რუსეთის მფარველობის გარეშე?**

– ვერ გეტყვით, რომ რუსეთი როდესმე ზურაბ ნოღაიდელზე ფსონის დადებას ფიქრობდა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან „ეროვნულ საბჭოს“ ახლა შიდა პრობლემები უფრო აწუხებს. თუმცა სამომავლოდ „კონსერვატორები“ და „ხალხის პარტია“ თუ სხვა პოლიტიკურ გაერთიანებაში შევლენ, ნოღაიდელის გარეშე გაცილებით მეტ სიმშვიდეს შეიძენენ.

ესაუბრა

**თამარ მამუკაშვილი**

SIC!

***დაახლოებით** ორ წელიწადში საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო სამუშაოდ ქუთაისში უნდა გადავიდეს. იმ ადგილზე, სადაც ერთ დროს დიდების მემორიალი იდგა, ახალი პარლამენტის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია, თუმცა იმაზე, თუ ვინ, რის საფუძველზე, ვის მიერ გამოყოფილი და რა ოდენობის ფულადი სახსრებით აშენებს ახალ პარლამენტს, არც ერთი კომპეტენტური ორგანო ოფიციალურ პასუხს არ იძლევა. სამაგიეროდ არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია: პარლამენტის ახალ შენობას სამშენებლო კომპანია „მაგი სტილი" აშენებს, რომლის ერთ-ერთი მფლობელი კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ჩიქოვანია**, თანამფლობელები კი — თავდაცვის ყოფილი მინისტრი **დავით კეზერაშვილი** და მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან მედიაპროდაქშენ გრუფის" გენერალური დირექტორი **გიორგი არველაძე**.*

# ახალ პარლამენტს ქუთაისში გაურკვეველი დაფინანსებით ჩიქოვანის, კეზერაშვილისა და არველაძის კომპანია აშენებს?



ის ფაქტი, რომ პარლამენტის ახალ შენობას „მაგი სტილი" აშენებს, „პირველს" თავად კომპანიაშიც დაუდასტურეს და ისიც აღნიშნეს, რომ მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია. ამასთან, კითხვაზე, იყო თუ არა გამოცხადებული შესაბამისი ტენდერი და რა უფლებითა და პირობებით აშენებს „მაგი სტილი" ახალ პარლამენტს, კომპანიაში პასუხი არ აღმოაჩნდათ. „ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ „მაგი სტილის" დირექტორს გიორგი კურცხალიას შეუძლია, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება და ორი კვირა საქართველოში არ იქნება", — აღნიშნეს კომპანიაში.

საქართველოში ბევრი ახალი შენობა შენდება, ბევრშიც რეკონსტრუქცია ხორციელდება და ის, რომ ამ სამუშაოების დამკვეთების, მწარმოებლების, დაფინანსების პირობებისა და სხვა დეტალების შესახებ ინფორმაცია დაფარულია, საზოგადოებისთვის უკვე ჩვეულ მოვლენად იქცა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ პარლამენტი რიგითი ჯიხური, უნივერმაღი ან თუნდაც საცხოვრებელი კორპუსი არ არის, ასევე იმას, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობისთვის ადგილის გასათავისუფლებლად ქუთაისში დიდების მემორიალის დემონტაჟს სულ რაღაც ნახევარი წლის წინ ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, კითხვები, რომლებიც „პირველმა" ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს დაუსვა, ზედმეტად ალბათ, არ უნდა ჩაითვალოს.

როგორც აღმოჩნდა, ქუთაისში ახალი პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის, შესაბამისად, როგორც სამინისტროში აღნიშნეს, უწყება ამის შესახებ „არანაირ ინფორმაციას არ ფლობს".

ანალოგიური პასუხით გაისტუმრეს „პირველი" ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროდან. როგორც მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ განაცხადა, მისთვის „ეს თემა უცნობია და ვერაფრით დაგვეხმარება".

ოდნავ მეტად აღმოჩნდა ინფორმირებული ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი: მისთვის ცნობილია, რა თანხაა გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტის ახალი შენობისთვის. „წელს პარლამენტის კაპიტალურ ხარჯებში 6 მლნ ლარია ჩადებული, რომელიც ახალი შენობის მშენებლობის დაფინანსებას მოხმარდება", — განაცხადა ბაინდურაშვილმა. ამასთან, „პირველის" კითხვაზე, მთლიანობაში რა ჯდება პარლამენტის ახალი შენობის პროექტი, ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ „ის „პრარაბი" არ არის და დეტალები მისთვის უცნობია". „მთლიანობაში საჭირო თანხის ოდენობა ჯერ დაზუსტებული არ არის. დანარჩენი უკვე თავად პარლამენტის საქმეა", — დასძინა მინისტრმა.

„პირველი" შეეცადა, კითხვებზე პასუხი პარლამენტისგან მაინც მიეღო, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ქუთაისში ახალი პარლამენტის მშენებლობისთვის საჭირო თანხების და მათი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციას არც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ფლობენ. ამ საკითხში არ აღმოჩნდა ინფორმირებული არც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი და არც პარლამენტის აპარატის უფროსი დავით ჯანიაშვილი, რომელთანაც მელიქიშვილმა გადაგვამისამართა. „ქუთაისში პარლამენტის მშენებლობასთან თავად პარლამენტს არანაირი შეხება არა აქვს. მშენებლობის დამკვეთი პარლამენტი არ არის, შესაბამისად, თანხები პარლამენტის ბიუჯეტიდან არ იხარჯება და ამ საქმეში არანაირად ჩართულნი არ ვართ. პირადად მე, როგორც პარლამენტის აპარატის უფროსი, მშენებლობით იმ დონეზე ვარ დაინტერესებული, რომ თუკი ქუთაისში მოვხვდები, სამშენებლო სამუშაოებს გადავხედავ, თუმცა ამ დრომდე იქ არ ვყოფილვარ", — განაცხადა ჯანიაშვილმა და გვირჩია, დაფინანსების წყარო ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მოგვეძია. ამასთან, მან არ გამორიცხა, რომ მშენებლობა „რაიმე ფონდიდან ფინანსდებოდეს".

შეგახსენებთ, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანის ინიციატივით გასული წლის ბოლოს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე გამოვიდა. ძალიან მალე მის იდეას მხარი ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც დაუჭირა და გადაწყდა, რომ პარლამენტის შენობა ქუთაისში დიდების მემორიალის ადგილას აშენდებოდა. ამ მიზნით მემორიალის აფეთქება გადაწყდა, რომელსაც გასული წლის 19 დეკემბერს ორი ადამიანის — დედა-შვილ ჯინჭარაძეების სიცოცხლე შეეწირა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა უბედურ შემთხვევაში დამნაშავე ყველა პირის დასჯა მოითხოვა.

**„პირველი"**

საქმიანი კონტაქტები

# ქართული კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიზნესს იწყებს

**გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში" კომპანია (იუ-ჯი-თი-მ) პრესკონფერენცია გამართა და ოფიციალური განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიზნესის დაწყების თაობაზე. 13-წლიანი ისტორიის მანძილზე UGT-ის საქართველოში მსხვილ პროექტებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილება აქვს. მისი მონაწილეობით განხორციელდა მრავალი რთული და მასშტაბური პროექტი ქვეყნის სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურაში და დიდ კომერციულ კომპანიაში.** უკვე აშშ-ის, ტეხასის შტატის ქალაქ დალასში, ფუნქციონირება დაიწყო UGT LLC-მ. დღეისთვის კი UGT არის პირველი ქართული კომპანია, რომელიც საქართველოს პარალელურად ბიზნესის წარმოებას იწყებს აშშ-ში. ეს კომპანია იქნება დამოუკიდებელი, რომელიც განავითარებს და წარმართავს ბიზნესს ამერიკაში, იგი საქმიანობას განახორციელებს აშშ-ის როგორც სამთავრობო, ასევე კომერციულ სექტორში.




პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ UGT-ის პრეზიდენტი გიორგი ჭირაქაძე, აშშ UGT LLC-ის მმართველი პრეზიდენტი ვაუტერ მეტსი, UGT-ის ვიცე პრეზიდენტი სარა ვილიამსონი და UGT-ის წარმომადგენელი ინგა კუპატაძე.

გიორგი ჭირაქაძის განცხადებით, თუ კომპანია ამერიკის ბაზარზე თავის დამკვიდრებას შეძლებს, ეს ჩვენი ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება. „ამერიკულ პროექტებში, დავასაქმებთ, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების ქართველ სპეციალისტებს, ასევე — ადგილობრივი საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიებს, ქართველ სპეციალისტებს მივცემთ შესაძლებლობას, ამ სფეროში ამერიკელების გამოცდილება გაიზიარონ და კვალიფიკაცია აიმაღლონ. აშშ-ში ქართული კომპანიის არსებობა რეალურ საფუძველს ქმნის საქართველოში შემოვიტანოთ ამერიკის ბაზარზე მიღებული გამოცდილება. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს საქართველოს, გახდეს მნიშვნელოვანი ქვეყანა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში, როგორც დღეს აზიის განვითარებადი ქვეყნები არიან", — განაცხადა **გიორგი ჭირაქაძემ**.

აშშ-ში ბიზნესის წარმოების დაწყების გარდა UGT კიდევ ერთი ნოვაციით გამოვიდა. შეიქმნება „ვენჩერული ფონდი", რომლის ძირითადი მიზანი საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სივრცეში ნოვაციური იდეებისა და პროექტების დაფინანსება იქნება.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ფონდში შემოთავაზების წარმოდგენა შეეძლება ნებისმიერ კერძო პირს ან კომერციულ ორგანიზაციას. თითოეული პროექტი კი შეფასდება უნიკალურობის, პერსპექტივებისა და კომერციული მომგებიანობის მიხედვით. განცხადება გააკეთა UGT LLC-ის მმართველმა დირექტორმა ვაუტერ მეტსმა. იგი 5 წელიწადია ამ კომპანიასთან თანამშრომლობს და ამ საქმის კარგი სპეციალისტია. მისი თქმით, ამ პროექტით და ბიზნესით კარგი შანსი ეძლევა საქართველოს, რომ მან ამერიკის გარდა სხვა ქვეყნებთანაც ითანამშრომლოს.

**ვაუტერ მეტსი:** „წლების წინ, როდესაც იუ-ჯი-თი-სთან ურთიერთობა დავიწყე მოვიხიბლე ამ კომპანიის პერსონალის ენთუზიაზმითა და ზრდის დინამიკით. იუ-ჯი-თის აქვს უზარმაზარი პოტენციალი და უნარი მრავალი რთული, კომპლექსური ამოცანა გადაწყვიტოს და უდიდესი წვლილი შეიტანოს ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში.

წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებობს რესურსი, რომლის გამოყენებაც ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი სამთავრობო თუ კომერციული კომპანიისთვის შეიძლება ღირებული და საინტერესო აღმოჩნდეს".

**ხატია მუსერიძე**

პრესკონფერენცია

# საქართველოს ახალი საკონსტიტუციო პროექტი ვენეციის კომისიაზე

**სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის ახალ პროექტზე მუშაობა დაასრულა და 4 ივნისს ვენეციის რიგით 83-ე პლენარულ სხდომაზე წარადგინა.**

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა პრესკონფერენცია გამართა და საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის შეფასებაზე ისაუბრა.

ავთანდილ დემეტრაშვილმა აღნიშნა, რომ მმართველობის ფორმის დაბალანსებულ სისტემაზე გადასვლის მუხლმა ყურადღება და მოწონება დაიმსახურა, ასევე იმ თავებმა, რომლებიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობისა და სასამართლო ხელისუფლების უფრო დამოუკიდებლად ჩამოყალიბებას. „ვენეციის კომისიის წევრები აღნიშნავენ, რომ ეს არის მაღალი ხარისხის კონსტიტუციის პროექტი, განსაკუთრებით აღსანიშნავია, მმართველობის ფორმის დაბალანსებულ სისტემაზე გადასვლა, რაც კონკრეტულად პრეზიდენტის გადაჭარბებული უფლებამოსილების გადანაწილებას გულისხმობს მთავრობაზე, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და პარლამენტზე, როგორც ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოზე.

...პროექტმა უაღრესად დადებითი შეფასება დაიმსახურა, როგორც კონცეფციური, ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით. — ვენეციის კომისიის წევრს, კონსტიტუციური სამართლის ასოციაციის პრეზიდენტს დიდიემ მაუსს ასეთი შეფასება მიუცია: პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბალტიის ქვეყნების შემდეგ საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპული კონსტიტუციონალიზმისკენ."

ვენეციის კომისია საბოლოო კონსოლიდირებულ დასკვნას ივლისში წარმოადგენს, რის შემდეგაც პროექტის საბოლოო სრულყოფის მიზნით გერმანიაში გაიმართება კონფერენცია, რომელშიც საერთაშორისო ავტორიტეტული ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას. საბოლოო დასკვნას კი მიიღებენ პლენარულ სხდომაზე, კენჭისყრით.

დავამატებთ, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას არ გაუთვალისწინებია საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი, რის მიზეზადაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე საზოგადოებრივი კომისიის მხრიდან თანამშრომლობის სურვილის არარსებობას მიიჩნევს. „ჩემდა სამწუხაროდ, ყველა ჩვენი მცდელობა, რომ დაგვემყარებინა აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წარმომადგენლებთან წარუმატებელი აღმოჩნდა. ისიც კი იკადრეს, რომ პროექტი არ გამოგვიგზავნეს. მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ და ძალიან კომპეტენტურ პირებად მიმაჩნია ბატონი ვახტანგ ხმალაძე, მინდია უგრეხელიძე და კომისიის სხვა წევრები. ჩემთვის გაუგებარია, რა აზრი აქვს ამ პროექტის შემუშავებას, თუ იგი არ იქნებოდა სახელმწიფოსთვის წარდგენილი", — ასკვნის ავთანდილ დემეტრაშვილი.

**თამთა ჭითანავა**

## არითმეტიკული საწვავი



# ჯაჭვით მიბმული ბიზნესი

**ამ წერილის ცოტა არ იყოს უცნაურმა რუბრიკამ („არითმეტიკული საწვავი") მკითხველი რომ არ დააბნიოს, ვიდრე დასმული პრობლემის არსობრივ განხილვაზე გადავიდოდეთ, ალბათ, ზოგი რამ უნდა განვმარტოთ. თუნდაც ის, რატომ მიეკუთვნება საწვავი საქართველოში მარტივ არითმეტიკულ კატეგორიას და არა, ვთქვათ, შედარებით რთულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიას? თუ გავითვალისწინებთ, რომ ნავთობის იმპორტიორებმა საქართველოში მხოლოდ ხუთამდე თვლა იციან (საწვავის ფასს 5 თეთრს ხან წაუმატებენ, ხან მოაკლებენ), ალბათ განსამარტავიც აღარაფერი იქნება. სხვათა შორის, მარტივი არითმეტიკული გაანგარიშებით შეძლო თბილისის მერობის კანდიდატმა გია ჭანტურიამ გაზისა და დენის გაიაფებული ტარიფების გამოყვანა, რითაც შესანიშნავად ისარგებლა ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ და ქვეყნის ამომრჩეველთა ხმების 11 პროცენტზე მეტი დაითრია(!).**

რაც შეეხება ჯაჭვით მიბმულ ბიზნესს, არც ამის ახსნა გაჭირდება, თუკი გავიხსენებთ ჩვენი ყოფის არც თუ შორეულ წარსულს, როცა ქურდბაცაცებით დაშინებული ავტომფლობელები ღამღამობით მანქანებს ასფალტში ჩასმულ რკინის მილებზე აბამდნენ. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ნაციონალები მოვიდნენ, ქვეყანაში ავტომობილები აუშვეს და მათ ნაცვლად საწვავი მიაბეს, ოღონდ არა რკინის მილებს, არამედ თავად ხელისუფლების ბლაღოჩინებს. ამით, როგორც ჩანს, ისინი განაწყენების ნაცვლად ნასიამოვნებიც კი დარჩნენ, რადგან ამის გამო, როგორც მახსოვს, საყვედური არასდროს დასცდენიათ.

თავად საწვავის ხარისხზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ სფეროში ლაღად მხრებგაშლილი ბიზნესის ხელისუფლებაზე მიჯაჭვის ხარისხი, როგორც ამბობენ, მას შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესდა, რაც საქართველოს ბაზარზე შემოტანილი ნავთობპროდუქტების 70 პროცენტის მაკონტროლებელი აზერბაიჯანული სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარი" გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ყველა წვრილ ბიზნესგასამართ სადგურს და მსხვილი კომპანიების უმრავლესობას „სოკარი" ამარაგებს ნავთობპროდუქტებით. ამით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა ხელისუფლებამ, რომელსაც „საქმიანი კონტაქტები" უამრავ წვრილ ოპერატორთან კი არა, უკვე ერთ მსხვილ პარტნიორთან აქვს. უკეთეს პიროებში აღმოჩნდნენ თავად კომპანიებიც, რომელთაც საწვავის ფასების მომატება-დაკლებაზე წინასწარ შეთანხმება აღარ სჭირდებათ. ამ „შავ საქმეს" თავად „სოკარი" შესანიშნავად ართმევს თავს და ფასებსაც, ბუნებრივია, ის ადგენს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, თუ საქართველოში ვცხოვრობთ და შექმნილ რეალობაში ვერკვევით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ აქაური ნავთობის იმპორტიორები მსოფლიო ბირჟაზე საწვავის ფასების დაწევას ერთი თვის ან თვენახევრის შემდეგ შეიტყობენ ხოლმე, უფრო გასაკვირი ის არის, რა გაანგარიშებას უდებენ საფუძვლად, როცა „შესაბამისად" ფასებს აქაც „აგდებენ". თანაც რატომ მაინც და მაინც 5 თეთრს აკლებენ და მეტს არა? ამის თაობაზე ზემოთ უკვე განვმარტეთ, მაგრამ ჩვენებურ იმპორტიორებს ალბათ არ ეწყინებათ, თუ ამ განსწავლულობას საბაზრო ეკონომიკის სფეროში, მათსავე გასამართლებლად კიდევ ერთხელ მოვიშველიებთ: სხვა მათემატიკური ოპერაციები არ ეხერხებათ, ბატონებო. და საწვავის ფასების როგორც მატებას, ისე კლებას, ხუთ-ხუთი თეთრობით ანგარიშობენ(!).

ასე იყო მიმდინარე წლის მაისის ბოლოსაც, როცა ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის სახელით „სენსაციური" განცხადება გაკეთდა: მსოფლიო ბირჟაზე ნავთობის ფასი მცირდება, რასაც აუცილებლად მოყვება ქართულ ბაზარზე საცალო ქსელში ნავთობპროდუქტების გაიაფებაო. ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც ეს წინასწარხედვა ახდა. ავტომფლობელები სიხარულით კინაღამ ცას ეწვივნენ – როგორც იქნა, ბენზინის ხარჯი თითოეულ ლიტრაზე 5 თეთრით შეუმცირდათ.

რატომ 5 თეთრით და მეტით არა? იძულებული ვარ ავტომფლობელების გასაგონად კიდევ ერთხელ გავიმეორო: ნავთობიმპორტიორებმა მეტი თვლა არ იციან, თორემ თავიანთ შესაძლებლობებს საწვავის გაძვირებისას ხომ მაინც გამოიყენებდნენ(?!). არა, გინდა გააძვირე და გინდა გააიაფე, 5 თეთრი 5 თეთრია, მორჩა და გათავდა!

ასე მოხდა ამჯერადაც. იმის მიუხედავად, რომ იმ პერიოდში მსოფლიო ბირჟაზე ერთი ტონა ბენზინის ფასი 120 დოლარით, ანუ 15,48 პროცენტით შემცირდა, საქართველოს ბაზარზე ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 2,7 პროცენტი შეადგინა. ვერავის დაემდურები, იმის გამო, რომ პროცენტის გამოყვანა არ შეეძლოთ, ისევ ჩვეულ ხერხს – 5-თეთრიან ფასდაკლებას მიმართეს. იმ 15,48 პროცენტის კვალობაზე რომ ეანგარიშათ, საქართველოში იმპორტირებული ერთი ტონა საწვავის თვითღირებულება დაახლოებით 8-10 პროცენტით, ანუ ერთი ლიტრი საწვავის ფასი მინიმუმ 15 თეთრით უნდა შემცირებულიყო. **5 თეთრით შემცირებამ ნავთობკომპანიებს ფაქტობრივად მოგება შემცირების ნაცვლად 10 თეთრით გაუზარდა(!).**

საინტერესოა, მიხვდნენ კი ამას ნავთობკომპანიების თავკაცები? არა მგონია, საიდან უნდა მიმხვდარიყვნენ, როცა პროცენტებში ვერ ერკვევიან და 5-ზე მეტის თვლა არ შეუძლიათ? თანაც თავად ფაქტი გახლავთ ალოგიკური, საწვავს ფასი რეალურად დააკლეს და მოგებულები როგორღა უნდა დარჩენილიყვნენ? საკითხავი აი ეს არის!

ეტყობა, იმ 5-თეთრიან დანაკლისს ქართული ნავთობკომპანიები მალევე აინაზღაურებენ. ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა საერთაშორისო ბირჟაზე ბოლო პერიოდში ნავთობის ფასის კვლავ მატება. ბუნებრივია, ჩვენი ნავთობიმპორტიორები ოპერატიულობას არც ამჯერად უღალატებენ და საცალო ქსელში საწვავს თუ მეტით არა, შეჩვეული 5 თეთრით მაინც გააძვირებენ.

არჩევნების წარმატებული მოგების შემდეგ რა პოზიციას დაიკავებს ამ ფაქტის მიმართ ხელისუფლება, ჯერჯერობით გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, მათ იმპორტიორებივით გაუნათლებლობას მაინც ვერ დავწამებთ. **ჩვენ საკმაოდ „განსწავლული და გონიერი" ხელისუფლება გვყავს იმისათვის, რომ შორს გამიზნულ ეკონომიკურ გათვლებს თუ ვერ გააკეთებს, საკუთარი ჯიბის შემოსავლები მაინც გულდინჯად დაითვალოს.**

**ოთარ ხუციშვილი**

## ეკონომიკა

# მიკრობიზნესთან დაკავშირებით ხელისუფლების მიდგომა გამართლებული არ არის



**საგადასახადო და საბაჟო კოდექსებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ „ინტერპრესნიუსი" ეკონომიკური საკითხების ექსპერტს ლადო პაპავას ესაუბრა.**

**– ბატონო ლადო, არჩევნების დასრულებისთანავე ხელისუფლებამ საგადასახადო და საბაჟო კოდექსებში ცვლილებების შესახებ გვამცნო. როგორ შეაფასებდით იმ ცვლილებებს?**

– ჯერ შეფასება რთულია, მაგრამ ის, რომ ხელისუფლებას საგადასახადო სისტემის გამარტივება, იქ ჩაწერილი მუხლების ორმაგი და სამმაგი გაგების გამორიცხვა სურს, მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. კონკრეტულად რა ტიპის ცვლილებებს გეგმავს ხელისუფლება, ამაზე საუბარი ნაადრევია, ვიდრე ამ დოკუმენტს მთავრობა პარლამენტში არ წარადგენს.

ჯერ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რაც ვიცით, ანუ ხელისუფლების მიერ მიკრობიზნესის ცნების შემოღებაზე და მისი გადასახადებისგან გათავისუფლებაზე. ჩემთვის ასეთი მიდგომა პრინციპულად მიუღებელია. თუ მიკრობიზნესში მოიაზრებენ მზესუმზირის გამყიდველებს, გაუგებარია, მზესუმზირის გამყიდველმა ვისი ხარჯით, როგორ უნდა იყიდოს სალარო აპარატი. წარმოუდგენელია წლიური 30-ათასიანი ბრუნვის დათვლა, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს მიკრობიზნესის ესა თუ ის გადამხდელი, რომ შემდეგ მასზე გავრცელდეს საგადასახადო შეღავათების მექანიზმები. უბრალოდ წარმოუდგენელია, რომ მზესუმზირის გამყიდველს ჰქონდეს სალარო აპარატი.

ველოსიპედს გამოგონება არ სჭირდება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრს, მათ შორის მეც, ხშირად გვქონია საზღვარგარეთ ყოფნის შესაძლებლობა და ყველაზე განვითარებული ქვეყნების ქალაქებში, ვაშინგტონშიც კი გვინახავს, როგორ ხდება სალარო აპარატის გამოყენება. ვაშინგტონის ქუჩებში იყიდება ქალის ჩანთები, პარფიუმერია, ვერცხლის ნაკეთობები და სხვა ნივთები, მაგრამ ვაშინგტონში თითქმის ერთწლიანი ყოფნის დროს მათთვის სალარო აპარატები არ შემიმჩნევია. ამ ტიპის მეწარმეებისთვის უნდა მოხდეს ფიქსირებული გადასახადის შემოღება. გადასახადის დაწესება ბევრად უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ სად წარმოებს ყიდვა-გაყიდვა, ქალაქში თუ – სოფლად, ქალაქის ცენტრში თუ – გარეუბანში, ხალხმრავალ, უკაცრიელ ადგილას, სავაჭრო ცენტრში თუ – საცხოვრებელ რაიონში.

სალარო აპარატების შემოღების იძულება არა მიკრობიზნესის სუბიექტებისთვის, არამედ ამ აპარატების ბიზნესისთვის ხელშეწყობას ნიშნავს, რაც, რა თქმა უნდა, ისევ ხელისუფლებასთან არის დაკავშირებული. როცა ყველას აიძულებენ, სალარო აპარატის შეძენას, მერე ამ აპარატებს პერიოდულად ხომ სჭირდება ტექნიკური გამართვა, ქაღალდის, საღებავის შეძენა, ეს ყველაფერი საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია.

**– ხელისუფლება ხშირად საუბრობს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელშეწყობაზე, თქვენი ინფორმაციით, საგადასახადო და საბაჟო კოდექსში ცვლილებები რაიმეთი მაინც თუ წაადგება მცირე და საშუალო ბიზნესს?**

– ჯერ ვერაფერს ვერ გეტყვით, ვინაიდან სავარაუდო ცვლილებები არც მე და ალბათ ბევრ პარლამენტარს არ უნახავს. ვიდრე მთავრობა საგადასახადო და საბაჟო კოდექსში ცვლილებებს პარლამენტს არ წარუდგენს, ამაზე საუბარი ნაადრევია. ერთი რამ ცხადია, მიდგომა, რომელზეც მიკრობიზნესთან დაკავშირებით საუბრობს ხელისუფლება, ჩემი აზრით, გამართლებული არ არის. ჩემს სურვილზე რომ იყოს, სალარო აპარატების მოთხოვნას საერთოდ მოვხსნიდი და ფიქსირებულ გადასახადს დავაწესებდი, მოვახდენდი ფიქსირებული გადასახადის დიფერენცირებას იმ პარამეტრების მიხედვით, რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

**– ანუ კოდექსებში სავარაუდო ცვლილებები ეკონომიკურ პოლიტიკაში რაიმე ახალ გააზრებას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას არ უკავშირდება?**

– როგორ არა, აკი მოგახსენეთ კიდეც. ჩანს და კარგადაც ჩანს, სალარო აპარატების ბიზნესის მხარდაჭერა. სხვათა შორის, სალარო აპარატების შემოღება ზურაბ ნოღაიდელს უკავშირდება. დღეს ნოღაიდელი ხელისუფლებაში აღარ არის, ოპოზიციაშია და ხელისუფლებას უპირისპირდება. ღმერთმა ნოღაიდელი კარგად ამყოფოს, მაგრამ ეტყობა, როგორც ლენინზე იტყოდნენ, იგი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მისი საქმეები ცოცხლობენ.

**– არჩევნების შემდეგ როგორია ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება? ამბობენ, არჩევნებზე იმდენი ფინანსური რესურსი დაიხარჯა, რომ თვითმმართველობის ორგანოები სახსრებს კარგა ხანს ველარ მიიღებენო...**

– თუ რამდენი დაიხარჯა არჩევნებში, ამ ინფორმაციას არ ვფლობ, რადგანაც ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტში და მათთვის გამოყოფილ ტრანსფერებში ჩახედული ნამდვილად არა ვარ. მაგრამ ერთი რამ ნამდვილად შემიძლია ვთქვა – არჩევნებს ეკონომიკური კუთხით აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. დადებითია ის, რომ არჩევნებზე დიდი ფული იხარჯება, ეს ფული აჩენს დამატებით მოთხოვნას და ეს ფინანსები საბოლოო ჯამში ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. მაგრამ ამას აქვს უარყოფითი მხარეც – თუ ამ მოთხოვნამ არ მიიღო ეკონომიკის განვითარებაში სწრაფი რეალიზაცია, მაშინ მან შეიძლება ხელი შეუწყოს ინფლაციას.

საარჩევნოდ ბევრი, საკმაოდ ძვირად ღირებული პროექტი განხორციელდა, რაც ეკონომიკის განვითარებისთვის პოზიტიურია. მაგრამ, იმავდროულად, თუ ამ მოთხოვნას ეკონომიკის განვითარების რეაქცია არ მოჰყვა, ეს მოთხოვნა მხოლოდ და მხოლოდ ინფლაციურ ტვირთში გადაიზრდება. იმისთვის, რომ შექმნილ ვითარებას ეკონომიკამ რეაქცია მისცეს, საჭიროა, სახელმწიფო ნაკლებად ერეოდეს ეკონომიკაში, მთავრობა ნაკლებად ატეროროებდეს ეკონომიკას. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკა ყოველთვის უპასუხებს გაზრდილ მოთხოვნას. წინასაარჩევნოდ ბევრი ისეთი პროექტები განხორციელდა, რომელთაც ეკონომიკისთვის ინფლაციური დატვირთვა აქვთ, ანუ ეკონომიკისთვის უპერსპექტივოა. ასეთია, მაგალითად გმირთა მოედანზე აგებული დაბალი გემოვნების მემორიალი. არანაირი გარანტია არ არის, რომ მას რამდენიმე ხანში, თუნდაც ერთ წელიწადში დემონტაჟს ისევე არ გაუკეთებენ, როგორც ეს იმავე მოედანზე შადრევნის შემთხვევაში მოხდა. ფაქტია, რომ ამ არჩევნებზე ბევრი ფუჭი ხარჯი იქნა გაწეული, მხედველობაში მაქვს თუნდაც ის ბილბორდები, რომლებშიც თითქმის მთელი ქალაქი იყო გახვეული.

**– ფაქტია, რომ არჩევნების შემდეგ ლარის კურსი დაეცა, თქვენი აზრით რა ემართება ლარს?**

– არჩევნებამდე ლარის კურსის ვარდნა არ უნდა ყოფილიყო 1,8-სთან მიახლოებული. არჩევნები ჩატარდა და უკვე საუბარია იმაზე, რომ ლარის დოლართან შეფარდება 1,82-ზე მეტია, რაც ჩემი აზრით, ეროვნულ ბანკს ამ ეტაპზე არ უნდა გაეკეთებინა.

ეროვნულ ბანკს საკმარისი რეზერვები ჰქონდა, რომ ლარის გაუფასურება სექტემბრისთვის გადაედო. თავისთავად გაუფასურება შეუძლებელია გამოირიცხოს, რადგან ქვეყანა კრიზისში იმყოფება, მაგრამ სჯობდა, რომ 1,8-ის ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა შემოდგომაზე მომხდარიყო. როცა ეროვნული ვალუტის კურსი ეცემა, ეს უშუალოდ აისახება იმპორტულ საქონელზე, ხოლო ჩვენს სამომხმარებლო კალათაში 80% სწორედ იმპორტულ საქონელს უჭირავს.

ინფლაციის შემოდგომისთვის გადადება იმის გამოც სჯობდა, რომ შემოდგომა წელიწადის ის დროა, როდესაც ქართულ ბაზარზე ჩნდება კვების ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რაც რეალურად უწყობს ხელს იმას, რომ ინფლაცია მაღალი არ იყოს. ამიტომ არის, რომ კურსის ნებისმიერი დაცემა ჯობია, შემოდგომაზე ხდებოდეს. დიდი იმედი მინდა ვიქონიო, რომ ეროვნული ბანკი ზაფხულში ისეთ შეცდომას არ დაუშვებს, რაც მიმდინარე წლის იანვარში დაუშვა, როცა ერთ თვეში 5 თეთრით გააუფასურა ლარი, რამაც ქართულ ბაზარზე ლამის პანიკა გამოიწვია.

**კობა ბენდელიანი**

ჩვენი თანამემამულე

# ქართველი ეთნომუსიკოლოგის მსოფლიო აღიარება

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის უცხოეთის ბიუროს ხელმძღვანელს, მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორ იოსებ ჟორდანიას წლეულს, 27 მაისს ტოკიოში საზეიმოდ გადაეცა ფუმიო კოიცუმის პრიზი. მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიის ამ უდიდეს ჯილდოს, რომელიც წელიწადში ერთხელ ენიჭება ტრადიციული მუსიკის წამყვან მკვლევარებს, ამჯერად საქართველო და თბილისის მრავალხმიანობის ცენტრიც ეზიარა.**

პროფესორმა **ი. ჟორდანიამ**, რომელიც იაპონიაში მეუღლესთან, ასევე ცნობილ ეთნომუსიკოლოგ **ნინო ციციშვილთან** ერთად იმყოფებოდა, ჯილდოს მიღების შემდეგ წარმატებით ჩაატარა ლექციათა ციკლი იაპონიის სხვადასხვა უნივერსიტეტში, ჰქონდა საინტერესო შეხვედრები (მათ შორის — **აინებთან — იაპონიაში მცხოვრებ ძირძველ, ამჟამად მეტად მცირერიცხოვან მოსახლეობასთან, რომლებსაც განსხვავებით იაპონიის ძირითადი მოსახლეობისაგან ხალხური მრავალხმიანობის ტრადიცია გააჩნიათ)**. აქვე ბატონ იოსებს შესთავაზეს წიგნის გამოცემა ხალხური მრავალხმიანობის შესახებ.

იოსებ ჟორდანიას ეს წარმატება, ცხადია, მისი ქართველი კოლეგებისა და ახლობლებისთვის მეტად სასიხარულოა, მაგრამ დიდად გასაკვირი არ ყოფილა. ბატონ იოსების სამეცნიერო კარიერა, რომელიც ჩვენს თვალწინ ვითარდება, მდიდარია შემოქმედებითი მიგნებებით და გამარჯვებებით. ყამირი მასალიდან საკვლევი მოვლენის შერჩევა, უხილავი, შინაგანი კავშირების გამოაშკარავება და მოულოდნელი, მაგრამ სადა და ნათელი დასკვნების ჩამოყალიბება ეთნომუსიკოლოგიის დისციპლინაში იოსებ ჟორდანიასავით ძნელად თუ ვინმეს შეეძლოს.

იოსებ ჟორდანიას, როგორც მკვლევარის ნიჭი მწირ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მისი მამა საქართველოში და ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობილი მუსიკოსფოლკლორისტი **მინდია ჟორდანია** ასეთივე მახვილი მეცნიერული ჭვრეტით გამოირჩეოდა. დედა — **ნელი იმედაშვილი** დღესაც ფორტეპიანოს ღვაწლმოსილი პედაგოგია.

ბატონ მინდიას, ისევე როგორც შემდეგში ბატონ იოსების სტუდენტებთან მუშაობის ძირითადი მეთოდი იყო სმენის გამახვილება. „ბატონი ყურის თანახმად" — იტყოდა ხოლმე ბატონი მინდია, როდესაც მის მიერ შედგენილი ასობით მუსიკალური კარნახიდან ერთ-ერთს გვაწერინებდა...

იოსებ ჟორდანიამ მამის გარდაცვალების შემდეგ, 1979 წელსვე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. ეთნომუსიკოლოგიაში, როგორც სპეციალობაში, მას კონსერვატორიაში სამი სტუდენტი ჰყავდა. დღეს სამივე მუსიკოლოგიის დოქტორია, ერთ-ერთი კი — მისი მეუღლე **ნინო ციციშვილი** — მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორია.

სწორედ ბატონი იოსების მიერ ჩატარებულმა საველე ექსპედიციებმა (ხევსურეთში, კახეთში, გუდამაყარში, მესხეთში, სვანეთში და ა.შ.) მრავალი მისი მოწაფე და კოლეგა ხალხური მუსიკის ჭეშმარიტ გულისცემას აზიარა.

ისევე როგორც ყოველივე თვისობრივად ახალს, იოსებ ჟორდანიას იდეებსაც მრავალი გარშემომყოფი თავიდან სკეპტიკურად იღებდა. სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებული პოლემიკა იოსებ ჟორდანიას სადოქტორო დისერტაციას მოჰყვა. მრავალხმიანობის, როგორც ანთროპოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორის აღიარება თბილისის კონსერვატორიის სამეცნიერო წრეებისათვის „ძნელად მოსანელებელი ლუკმა" აღმოჩნდა. მუსიკოსთა შორის ამ ნაშრომის შესახებ აზრი ორად იყო გაყოფილი. იყვნენ სხვა დისციპლინების წარმომადგენელი მხარდამჭერებიც (დისერტაციაში უხვად იყო ანთროპოლოგიური და ენათმეცნიერული ძიებები). მახსოვს, როგორ გამოვიდა ამ სხდომაზე მოწვეული ექსპერტი, ენათმეცნიერების პროფესორი **რისმაგ გორდეზიანი** და იოსებ ჟორდანია თავის ასპირანტებიდან „საუკეთესოს" სახელით შეამკო. ზუსტად იგივე გაიმეორა ცნობილმა ანთროპოლოგმა, პროფესორმა **მალხაზ აბდუშელიშვილმა**. მაგრამ ამ დისერტაციამ დაბრკოლებები მაინც დიდი ბრძოლის შედეგად გადალახა.

დღეს ძნელია ისაუბრო იმის შესახებ, თუ რამ აიძულა იოსებ ჟორდანია ახლადშერთული მეუღლითა და პატარა ვაჟით ალექსანდრეთი საცხოვრებლად ავსტრალიაში გადასახლებულიყო. მაგრამ დანამდვილებით კი შეიძლება ითქვას, რომ ამ „მიგრაციულმა ექსპერიმენტმა" გაამართლა: იოსებ ჟორდანიას ნიჭს უფრო ფართო გასაქანი მიეცა. მისმა შრომისმოყვარეობამ მრავალი წინაღობა გადალახა (დასაწყისში ოჯახის მწირ ბიუჯეტს ცოლ-ქმარი მუსიკის გაკვეთილებითაც ავსებდნენ) და რამდენიმე წელიწადში უკვე მსოფლიოს წამყვან ეთნომუსიკოლოგებს შორის ვხედავთ. **იოსებ ჟორდანიას მიღებული აქვს ინგლისისა (და ასევე ავსტრალიის) დედოფლის ელისაბედ მეორის „საუკუნის მედალი" ავსტრალიის საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის".**

დღეისათვის იოსებ ჟორდანია ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, სამი წიგნისა და მრავალი სამეცნიერო თუ პოპულარული სტატიის ავტორია. იგი ინტენსიურად მონაწილეობს (ზოგჯერ მეუღლესთან ერთადაც) მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში და ხშირად ვხედავთ ამ ღონისძიებათა ორგანიზატორებს შორისაც. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ხალხური მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ **სამეცნიერო ფორუმების** მოწყობაში, რომელთა შორის, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია **თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო სიმპოზიუმი,** რომელიც ბატონი იოსებისა და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ **რუსუდან წურწუმიას** ხელმძღვანელობით წელს ოქტომბერში მეხუთედ გაიმართება.

სწორედ ხალხური მრავალხმიანობაა ის ფენომენი, რომელიც იოსებ ჟორდანიას სამშობლოს, საქართველოს ეთნიკური მუსიკის ყველაზე ბუნებრივი გარემოა. მართლაცდა, ქართულ მრავალხმიანობას, თავისი ორიგინალობითა და მაღალგანვითარებულობით მსოფლიოში ცნობილს, უნდა ეშვა თავის წიაღში ამ ფენომენის ასეთი დონის მკვლევარი და ექსპერტი.

ბატონი იოსები ყოველთვის პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული. ამიტომ მისი სამეცნიერო ინტერესი ისეთი იდუმალი მოვლენის ახსნისაკენაა მიმართული, როგორიცაა საუკუნეების და ათასწლეულების მიღმა განვითარებული პროცესები. მას არ აშინებს პრობლემის მასშტაბი, ისევე, როგორც არ აშინებდა თბილისის ცირკში ვეფხვების გალიაში შესვლა და მათთან თამაში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი სოსო ახალგაზრდობაში წარმატებით წერდა მოთხრობებს ფანტასტიკის თემაზე, მეცნიერებაში იგი მკაცრად სწონის ყოველ ფაქტს და ფრთხილად აყალიბებს ახალ ჰიპოთეზას.

ქართული ეთნომუსიკოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანია მისი კაპიტალური ნაშრომი **„ქართული მრავალხმიანობა საერთაშორისო კულტურულ კონტექსტში"**, რომელიც ავსტრალიაში წასვლამდე, 1989 წელს გამოიცა და პრობლემის სიფართოვით, თეორიული კვლევის მრავალმხრიობით და მასშტაბით საქართველოს მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში დღემდე ანალოგი არ გააჩნია. სწორედ ამ გამოცემაში დაფიქსირდა **ხალხური მრავალხმიანობის სხვადასხვა ხალხში გენეტიკური განპირობებულობის იდეა. დღეს იოსებ ჟორდანიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ მრავალხმიანობა ადამიანის თანდაყოლილი უნარია და არა — დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩვევა, უკვე მიღებული თეორიაა სამეცნიერო წრეებში.**

არანაკლებ მნიშვნელოვანია იოსებ ჟორდანიას უკვე ავსტრალიაში მოღვაწეობის დროს, 2006 წელს გამოცემული წიგნი **„ვინ დასვა პირველი შეკითხვა? ადამიანური საგუნდო სიმღერის, აზროვნების, ენისა და მეტყველების სათავეები"**, სადაც მსოფლიო მრავალხმიანობის კერათა ფართო ანალიზის ფონზე წარმოდგენილია საფუძვლიანი თეორია ერთზე მეტ ხმაში მღერისა და დაკვრის ფენომენის წარმოშობის შესახებ. **ამჟამად პორტუგალიაში გამოსაცემად მზადდება იოსებ ჟორდანიას ახალი წიგნი „საგუნდო სიმღერა ადამიანის კულტურასა და ევოლუციაში". საზოგადოდ, ბოლო დროს ბატონი იოსები განსაკუთრებულადაა დაინტერესებული ადამიანის გენეზისის ზოგადანთროპოლოგიური საკითხით — და არა მარტო მუსიკალური თვალთახედვით.**

ვულოცავთ პროფესორ იოსებ ჟორდანიას ახალ მსოფლიო აღიარებას და ვუსურვებთ კვლავაც ღირსეულად წარმოაჩინოს მსოფლიო ასპარეზზე ქართული მუსიკალურ-საშემსრულებლო და სამეცნიერო კულტურა.



**თამაზ გაბისონია,**
**მუსიკოლოგიის დოქტორი,**
**თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი**

SIC!

# ნაციონალებმა არჩევნებისთვის 14 მილიონი ლარი „შემოიწირეს!"

## პარტიების მიერ დახარჯულ ფულს 30 მაისის არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა არ მოუხდენია



***30 მაისის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ხუთმა პოლიტიკურმა ძალამ ცესკოში თავისი საარჩევნო დანახარჯების ანგარიში წარადგინა. როგორც გაირკვა, არჩევნებზე „ნაციონალურმა მოძრაობამ" 14 მილიონი ლარი დახარჯა, „ქრისტიან დემოკრატებმა" — 700 ათასი, „ეროვნულმა საბჭომ" — 260 ათასი, ხოლო „ალიანსმა საქართველოსთვის" — 160 ათასი ლარი. ხარჯების კოლოსალურმა სხვაობამ და მმართველი პარტიის მიერ დახარჯულმა 14 მილიონმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.***

***რა გავლენა მოახდინა ნაციონალების ფინანსურმა უპირატესობამ არჩევნების შედეგებზე? — ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" პოლიტოლოგ მალხაზ მაცაბერიძეს ესაუბრა***

**— ბატონო მალხაზ, ცესკოში შეტანილი ხარჯთაღრიცხვის ანგარიშის მიხედვით, მმართველი პარტიის დანახარჯებსა და ოპოზიციური პარტიების დანახარჯებს შორის ძალიან დიდი სხვაობაა. ფინანსურმა რესურსმა რამდენად განაპირობებს არჩევნების შედეგები?**

— არჩევნების მოსაგებად ფინანსურ რესურსს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საერთოდ, თანხების ძირითადი ნაწილი საარჩევნო რეკლამებსა და პიარზე იხარჯება, პიარზე კი, ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩემი აზრით, 30 მაისის არჩევნების შედეგების და ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით, სამომავლოდ საარჩევნო კოდექსზე მუშაობისას ეს საკითხი უნდა გაითვალისწინონ. მაგალითად, საარჩევნო სუბიექტებმა უნდა იფიქრონ ფასიანი პოლიტიკური რეკლამის აკრძალვაზე და მხოლოდ უფასო რეკლამის დატოვებაზე, რათა მდიდარ და ღარიბ პარტიებს თანაბარი სარეკლამო პირობები ჰქონდეთ. მაგრამ ეს უკვე პოლიტიკურ სუბიექტებზეა დამოკიდებული.

საერთო ჯამში კი, არჩევნების შედეგებში გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ ფინანსებს არ აქვს. აქ არის სხვა ფაქტორებიც — საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა და წარმართვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომ ვფიქრობ, რომ პარტიების მიერ დახარჯულ ფულს 30 მაისის არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა არ მოუხდენია.

**— ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა 14 მილიონი, რაც საქართველოს პირობებში, სერიოზული თანხაა. ნაციონალების განცხადებით, ეს თანხა შემოწირულობების სახით მიიღეს. შემომწირველთა უმეტესობა კი თვითონ ნაციონალები იყვნენ. რა შემოსავლები აქვთ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლებს, რომ ასეთი დიდი რაოდენობით თანხა შესწირეს პარტიას?**

— მე არ მაქვს კონკრეტული ფაქტები, ვინ რა თანხა გაიღო, ამიტომ რაიმეს თქმა გამიჭირდება. ჩემს პირად მოსაზრებებს კიდევ დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

**— პარტიებისთვის თანხების გადარიცხვის პროცესი რამდენად გამჭვირვალე და კანონიერია?**

— ეს უკვე ცესკოს კომპეტენციაა. მან უნდა შეამოწმოს რამდენად გამჭვირვალეა შემოწირულობების გაღების და პარტიისთვის თანხების გადარიცხვის პროცესი. ბუნებრივია, სახელისუფლებო პარტიას დაფინანსების მიღების თვალსაზრისით მეტი უპირატესობა აქვს ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით, გამომდინარე იქიდან, რომ ის სახელისუფლებო პარტიაა.

### ინფორმაცია

## რატომაა რიყის ატრაქციონი გრიფით გასაიდუმლოებული?

რიყეზე ე.წ. პანორამული კოშკის მონტაჟისა და დემონტაჟის საკითხს გრიფით საიდუმლო ადევს. ამის შესახებ განცხადება საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა გია ცაგარეიშვილმა გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა და როგორც მან აღნიშნა, სწორედ ასეთი პასუხი მიიღო თბილისის მერის მოადგილის დავით ალავიძისაგან შეკითხვის საპასუხოდ, თუ რა დაუჯდა თბილისის ბიუჯეტს აღნიშნული კოშკურის მონტაჟი და დემონტაჟი.

ცაგარეიშვილის განცხადებით, წერილი დათარიღებულია მიმდინარე წლის 2 ივნისით.

— მე მაინტერესებს, რა საიდუმლოს უყურებდა ბატონი სააკაშვილი კობა სუბელიანთან ერთად იმ ატრაქციონიდან, რომლითაც წესით ბავშვები უნდა ერთობოდნენ. მაინტერესებს, რატომ არის ატრაქციონის მონტაჟის და დემონტაჟის საკითხი გრიფით საიდუმლო, — აცხადებს ცაგარეიშვილი და განმარტავს, ამავე წერილში მითითებულია, რომ თუკი ცაგარეიშვილი მერიას წარუდგენს გრიფით საიდუმლო დოკუმენტაციაზე დაშვების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, პასუხს მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებს.

— მე ამ დოკუმენტის წარდგენას არ ვაპირებ, უბრალოდ მაინტერესებს რატომ არის ატრაქციონი სახელმწიფო საიდუმლოს შემცველი, — აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

## ნახევარი მილიონი ლარი დინოზავრის ნაკვალევის დასაცავად

საქართველოს მთავრობა სათაფლიის რეაბილიტაციის პროგრამისათვის გაზრდილი ბიუჯეტიდან 555 ათას ლარს გამოყოფს. ამის შესახებ განცხადება ფინანსთა მინისტრის მოადგილემა პაპუნა პეტრიაშვილმა პარლამენტში, გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომაზე 2010 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პროექტის განხილვისას გააკეთა.

მიმდინარე წლის ბიუჯეტი 215 მილიონი ლარით იზრდება და აქედან სახელმწიფო 555 ათასს სათაფლიის რეაბილიტაციის პროგრამისათვის გამოყოფს.

გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის გოჩა მამაცაშვილის განმარტებით, პროგრამისათვის გათვალისწინებულია 3 მილიონ 500 ათასი ლარი, საიდანაც 1 მილიონ 700 ათასი ლარი უკვე გამოყოფილია.

მამაცაშვილი აღნიშნულ პროგრამას ქვეყნისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ ამ პროგრამის განხორციელება ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ჯი-ეიჩ-ენი

### დამუხრუჭებული ინიციატივა?

*იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ 2009 წლის ოქტომბერში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლისას წარდგენილი „ეკონომიკური თავისუფლების აქტზე“, რომელიც, როგორც ჩანს, წლევანდელი მთავარი ეკონომიკური ინიციატივაც იქნება, ქვეყნის პარლამენტში მუშაობა უწყვეტად მიმდინარეობს და მისი დამტკიცება ზაფხულშია ნავარაუდევი. ამ დოკუმენტს სახელისუფლებო სტრუქტურებში, ასევე ექსპერტთა წრეებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებშიც არაერთგვაროვნად აღიქვამენ.*

# წითელი შუქი საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდის გზაზე

„ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ შესაბამისად, ნებისმიერი სახეობის გადასახადის შემოღება, ან მისი განაკვეთის გაზრდა მხოლოდ ჩატარებული რეფერენდუმის დადებითი პასუხით დასრულების შედეგად იქნება შესაძლებელი, თანაც „გამონაკლისის სახით“. გარდა ამისა, საპარლამენტო ტრიბუნიდან დეკლარირებული „ეკონომიკური თავისუფლების აქტში“ გარკვევითაა ნათქვამი, რომ **საბიუჯეტო ხარჯი მთლიანი შიდა პროდუქტის 30 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი — იმავე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის სამ პროცენტს. გარდა ამისა, განსაზღვრულია სახელმწიფო ვალისა და მთლიანი შიდა პროდუქტის თანაფარდობა, რომელიც 60 პროცენტს არ უნდა ჭარბობდეს. აქტი კრძალავს მიღებული შემოსავლისა და დაბანდებული კაპიტალის უკან გატანას, ასევე ვალუტის კონვერტირების შეზღუდვას. ამასთან, პარლამენტის მიერ აქტის მიღების შემდეგ აიკრძალება უკვე გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების გარდა ახლების გაცემა, ასევე ახალი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების დაწესება.**

**აქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულება ის გახლავთ, რომ ნებისმიერი სახეობის პროდუქციასა და მომსახურებაზე სამომხმარებლო ფასის დაწესება სახელმწიფო სტრუქტურებს აეკრძალებათ, რაც ქვეყანაში ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად თავისუფალი ფასწარმოქმნის პროცესს უზრუნველყოფს. აკრძალვებიდან აგრეთვე აღსანიშნავია სახელმწიფო მხრიდან კომერციულ ბანკებში წილების ფლობის უფლება.**

სადღეისოდ „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ თეზისებიდან პარლამენტმა ჯერჯერობით მხოლოდ გადასახადების გაზრდის რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით მიღების საკითხი განიხილა და დაამტკიცა პირველი მოსმენით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ბოლო დროს „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ მიმართ სახელისუფლებო ყურადღება ერთგვარად განელდა, რასაც ექსპერტები, კერძოდ, იმით ხსნიან, რომ აღნიშნულ აქტსა და ამ მხრივ ევროპულ რეალიებს შორის გარკვეული შეუსაბამობებია, თუმცა ცოტა ხნის წინათ საქართველოს პარლამენტის მიერ ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელახალი ამოქმედების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, აზრთა არსებული სხვადასხვაობის მიუხედავად, იმის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ, რომ მთავრობის გეზს მაინც ევროკავშირთან ეკონომიკურ დაახლოებასთან მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ მის წევრ ქვეყნებში ახალი მარეგულირებელი სტრუქტურების შექმნაზე, როგორიცაა, კერძოდ, ანტიმონოპოლიური სამსახური, მეტად ხისტი შეზღუდვებია.

უნდა ითქვას, ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა და ხელახლა ამოქმედება ლიბერალური ეკონომიკისა და ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ეკონომიკური პირობების შექმნისას რამდენადმე გაურკვეველი შინაარსის მქონე ჰიბრიდის წარმოშობას გამოიწვევს. ამის გათვალისწინებით, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ვიდრე საქართველოში ევროკავშირის სტანდარტები საკანონმდებლო დონეზე არ იქნება შემოღებული, „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ კანონად შემოღებაც ამ დრომდე გადაიდება. აცხადებენ იმასაც, რომ აქტის კანონად შემოღებას ხელს უშლის გადასახადების გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად მიღების ინიციატივა, რომელიც შინაარსობრივად მასებში პოპულარობის მიღწევაზეა გათვლილი, რისი წინააღმდეგიც არიან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

ამავე დროს მთელ რიგ კითხვას ბადებს „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ ზოგიერთი სხვა თეზისიც: კერძოდ, ძნელი გასაგებია, თუ რატომ არის განსაზღვრული საბიუჯეტო დეფიციტის ზღვრად მთლიანი შიდა პროდუქტის მაინცდამაინც სამი პროცენტი, რაც, კრიზისის პირობებში, მნიშვნელოვნად ზღუდავს ხელისუფლების თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, ექსპერტებს საკმაოდ გაურკვევლად მიაჩნიათ აქტის რამდენიმე სხვა დებულებაც, თუმცა მისი მიღება თუ არმიღება, საბოლოო ანგარიშით, ისევ ქვეყნის პარლამენტზეა დამოკიდებული.

**ოთარ ტურაბელიძე**



## შპს „გეო ფარმა 1“ აცხადებს აუქციონს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში (იჯარით) გაცემის მიზნით

**აუქციონზე გამოტანილი იქნება შპს „გეო ფარმა1“-ის კაპიტალში არსებული ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში, ნაგებობა №2-ში, ნაგებობა №4-ში, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №17ა-ში, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №70-ში და ქ. თბილისში, ჭიაურელის ქ. №2, შენობა-ნაგებობა №3, 7-ში მდებარე ფართები.**

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

იჯარით გამცემი — შპს „გეო ფარმა1“

| იჯარით გასაცემი ძირითადი საშუალებების დასახელება | საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით | იჯარის ხანგრძლივობა |
|---|---|---|
| 1. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში (2118,31 კვ.მ) | 8.20 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 2. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში, სარდაფი (695,72 კვ.მ) | 7.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 3. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №2-ში (24,01 კვ.მ) | 7.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 4. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №4-ში (9,58 კვ.მ) | 7.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 5. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №17ა, მე-4 სართული (184 კვ.მ) | 4.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 24 თვე |
| 6. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №70, მე-2 სართული (605,1 კვ.მ) | 8.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 24 თვე |
| 7. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №70, მე-3 სართული (375 კვ.მ) | 8.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 24 თვე |
| 8. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №70, სარდაფი (71,04 კვ.მ) | 7.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 24 თვე |
| 9. ქ. თბილისი, ჭიაურელის ქ. №2, შენობა-ნაგებობა №3,7 პირველი სართული (822,1 კვ.მ) | 4.00 ლარი (1 კვ.მ) | 24 თვე |
| 10. ქ. თბილისი, ჭიაურელის ქ. №2, შენობა-ნაგებობა №3,7 მე-2 სართული (822,5 კვ.მ) | 4.00 ლარი (1 კვ.მ) | 24 თვე |
| 11. ქ. თბილისი, ჭიაურელის ქ. №2, შენობა-ნაგებობა №3,7 სარდაფი (838,8 კვ.მ) | 2.00 ლარი (1 კვ.მ) | 24 თვე |

**საუქციონო პირობები:**

საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები);

ძირითადი საშუალებების პრივატიზების/რეალიზების შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები);

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა სააუქციონო რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ დოკუმენტები:

— განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იმ ძირითადი საშუალების დასახელებას, რომლის იჯარით აღებაც სურს მონაწილეს და თანხმობას სააუქციონო პირობების შესრულების თაობაზე;

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

— ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

— სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 2010 წლის 9 ივნისიდან 2010 წლის 22 ივნისის ჩათვლით 11-დან 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2.

**აუქციონი ჩატარდება 23 ივნისს 14 საათზე.**
**საკონტაქტო ტელეფონი: 36-38-61.**

**შპს „გეო ფარმა1“**



### ინფორმაცია

## სკოლაში თანამედროვე სამედიცინო კაბინეტი გაიხსნა

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და სამედიცინო სადაზღვევო კომპანია — „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ნიკოლოზ რამიშვილი თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო კაბინეტის გახსნას დაესწრნენ.**

**55-ე საჯარო სკოლაში სამედიცინო კაბინეტი გაარემონტა, თანამედროვედ აღჭურვა და მედიკამენტებით უზრუნველყო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიამ — „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ“. კომპანია გადაუხდის ხელფასს ექიმს, რომელიც სკოლას მოემსახურება და მომავალშიც თავად იზრუნებს კაბინეტის საჭირო მედიკამენტებით მომარაგებაზე.**

**როგორც ცნობილია, ახალი სასწავლო წლიდან გარდა პროფესიონალი ექიმისა, ბავშვების ჯანმრთელობაზე მანდატურებიც იზრუნებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთმა და თურქეთმა საქართველოზე მეგობრულად საუბარი უნდა დაიწყონ

**როდესაც რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი ჩავა სტამბოლში, იგი თავის თურქ კოლეგასთან რეჯეპ ტაიიპ ერდოღანთან და პრეზიდენტ აბდულა გიულთან ერთად განიხილავენ საკითხების ფართო წრეს – როგორც აზიაში ურთიერთმოქმედებათა და ნდობის ღონისძიებათა თათბირის ფარგლებში, ისე ორმხრივი მოლაპარაკების დროს**

მიუხედავად ამისა, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში გადაუჭრელ კონფლიქტებთან – ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით, – ძნელად რომ აღმოჩნდნენ დღის წესრიგში.

ეს არა მხოლოდ სამწუხაროა, არამედ უცნაურიც. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში – თურქეთის საზღვრიდან 150 კილომეტრში, რუსეთმა განალაგა 8 ათასიდან 10 ათასამდე ჯარისკაცი. სიტუაცია ამ ორ ტერიტორიაზე უსათუოდ მნიშვნელოვანია ნდობის, თანამშრომლობისა და რუსეთისა და თურქეთის მიდამოებში უშიშროების განმტკიცების თვალსაზრისითაც.

2008 წლის აგვისტოში, რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ, რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. მას შემდეგ მათი დამოკიდებულება მოსკოვზე მუდმივად იზრდება. მთელი მსოფლიო ოთხი ქვეყნის გამოკლებით სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს საქართველოს ნაწილებად მიიჩნევს. მაგრამ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს პრაქტიკულად არ გააჩნიათ კონტაქტები – მათ არ შეუძლიათ თავისუფლად იმოგზაურონ და ივაჭრონ, 2008 წლის 20 ათასი დევნილი ეთნიკური ქართველი კი ვერ ახერხებს დაბრუნდეს თავიანთ სახლებში. რუსეთმა ასევე დაბლოკა ყველა ოფიციალური სამთავრობო კონტაქტები საქართველოსთან.

სამხრეთ ოსეთში რუსეთი აკომპლექტებს მთავრობის ნახევარზე მეტს, 99 პროცენტით ქმნის ბიუჯეტს და უზრუნველყოფს უშიშროებას მინიმუმ 4 ათასი ჯარისკაცისა და 800 მესაზღვრის დახმარებით. 2008 წლის ომმა რეგიონს მიაყენა მძიმე ფიზიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური დარტყმა. მისი მუდმივი მოსახლეობა 1990-იანი წლების დასაწყისიდან გამუდმებით მცირდება და ამჟამად ძნელად რომ აჭარბებდეს 30 ათას კაცს. 840 მილიონმა დოლარმა (28 ათასმა დოლარმა ერთ სულ მოსახლეზეძ, რომელიც მსხვერპლად გაიღო რუსეთმა, დიდად ვერ გააუმჯობესა სიტუაცია ადგილზე კორუფციის გამო. ვინაიდან სავაჭრო გზა, რომელიც აერთიანებს სამხრეთ ოსეთს საქართველოს დანარჩენ ნაწილთან, გადაკეტილია, ოსეთის ეკონომიკა, ფაქტობრივად, გადაიქცა მომსახურების მიმწოდებლად რუსი სამხედრო და სამშენებლო პერსონალისთვის. დღეს სამხრეთ ოსეთი ძნელად რომ გაარჩიო ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისგან რუსეთის შემადგენლობაში.



აღიარებისა და დახმარების საფასურად რუსეთმა აფხაზეთისგან მიიღო უძვირფასესი სტრატეგიული აქტივები. მან მოახდინა 465 მილიონი დოლარის ასიგნება სამხედრო ბაზების მოდერნიზაციისა და მშენებლობისთვის, მათ შორის გუდაუთის ბაზისთვის – უდიდესი სამხედრო აეროდრომისთვის სამხრეთ კავკასიაში. რუსეთმა აღიარა აფხაზეთი 15 წლის შემდეგ მას უკან, რაც თბილისმა, ფაქტობრივად, დაკარგა კონტროლი ამ ტერიტორიაზე, ხოლო 200 ათასი იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველი ძალით იქნა გამოდევნილი ამ მიწებიდან. ამ წლების განმავლობაში მოსახლეობის ანკლავი 200 ათასი კაცის შემადგენლობით იძულებულია შექმნას საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტები, კანონები, ეკონომიკა. ამჟამად, დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ბევრი აფხაზი უკმაყოფილოა ჩრდილოელი მეზობლის მზარდი დამოკიდებულების გამო და შიშობს, რომ აღმოჩნდება მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტური ძლიერი გავლენის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ისინი ძველებურად უმზერენ მოსკოვს, როგორც თავიანთი უშიშროების ძირითად გარანტს.

ადმინისტრაციული საზღვრის მეორე მხარეს, რომელიც სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს გამოყოფს საქართველოდან, განთავსებულია ევროკავშირის 200 უიარაღო მეთვალყურე, რომლებიც შედიან ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის შემადგენლობაში. რუსეთი მათ გზებს უკეტავს. 2009 წელს რუსეთმა ვეტო დაადო გაეროსა და ეუთოს მისიების მანდატების გაგრძელებას, რომელიც ვრცელდებოდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზეც. რუსეთს ასევე არ აქვს განზრახული შეასრულოს 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში დადებული შეთანხმების პირობები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის თანახმადაც მას უნდა დაებრუნებინა თავისი სამხედრო კონტინგენტი ომამდელ ოდენობამდე, გამოეყვანა ჯარები ადრე დაუკავებელი ოლქებიდან და ნება მიეცა საერთაშორისო მეთვალყურეების შესვლისა და ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებისთვის. ეს დამატებით აძლიერებს არასტაბილურობას რეგიონში.

რუსეთი აპირებს გადააქციოს სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი სამხედრო ბუფერულ ზონებად, რომლებიც უპირისპირდებიან საქართველოს, აგრეთვე ნატოს შემდგომ გაფართოებას. იმის გათვალისწინებით, რომ ნატო უკვე აღარ ესაზღვრება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას ყოფილ თურქეთ-საბჭოთა საზღვარზე, უარს ამბობს სამხედრო კონტაქტების ზრდაზე, თანამშრომლობამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკარგა სტრატეგიული აზრი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თურქეთისა და რუსეთის ლიდერები ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ახლა ყველაზე კარგი დროა განიხილონ საკითხი მიმდინარე მილიტარიზაციის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მომავლის, აგრეთვე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შესახებ.

რუსეთი და თურქეთი სტრატეგიული მოკავშირეები არიან. 2004 წლიდან 2009 წლამდე პერიოდში ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა გაორმაგდა, რუსეთი გახდა თავის მნიშვნელობით მეორე სავაჭრო პარტნიორი თურქეთისთვის. და მხოლოდ გერმანია აგზავნის მეტ ტურისტს თურქეთის კურორტებზე. სტაბილურობა და მშვიდობა სამხრეთ კავკასიაში ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის, მით უმეტეს, რომ ორივე მათგანს აქვთ მყარი ისტორიული კავშირურთიერთობანი მასთან. ჯერჯერობით ვერც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ვერც ევროსაბჭომ ვერ შეძლეს დაეყოლიებინათ პრემიერ-მინისტრი პუტინი შეესრულებინა ცეცხლის შეწყვეტის პირობები და შეეშვას საერთაშორისო ორგანიზაციები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. თუ თურქეთს სურს იკისროს რეგიონალური ლიდერის როლი მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში და ამავე დროს მიაღწიოს რეალურ შედეგებს, ამ კვირაში მომავალ შეხვედრებზე მან არ უნდა უგულებელყოს სახიფათო კონფლიქტი საქართველოში, რაც მას თიშავს რუსეთისგან, თუნდაც ფიზიკურად.

TODAYS ZAMAN

# „რუსეთის გავლენის სფერო მნიშვნელოვნად შემცირდა“

**საფრანგეთში თავის ოფიციალურ ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ინტერვიუ მისცა ჩვენს გაზეთს**

***– თუ აღმოჩნდა საქართველო ობამას ადმინისტრაციის მრავალპოლარული დიპლომატიის მსხვერპლი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაც რუსეთთან დაახლოებაა?***

– საქართველო არანაირი პოლიტიკური გარიგების მსხვერპლი არ გამხდარა. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი უკვე ექვსჯერ შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს. ჩვენ მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება მივიღეთ ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდში. ბარაკ ობამა თავის სიტყვებში რუსეთის შესახებ მუდმივად მოგვიხსენიებს ჩვენ. რასაკვირველია, ამერიკელებს აშკარად უნდათ გადავიდნენ სხვა პრობლემების განხილვაზე, მაგრამ არავითარ იალტის ან მიუნხენის ტიპის დიპლომატიაზე საუბარი არ არსებობს. საერთო სურათი გაცილებით უფრო რთულად გამოიყურება.

ამერიკელები ცდილობენ იყვნენ პრაგმატიკოსები, მაგრამ არ შეუძლიათ დარჩნენ ასეთებად თავის ძირითად ღირებულებებზე ზიანის მიუყენებლად. ჩვენ ვლებულობთ ვაშინგტონის მუდმივ დაპირებებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. საქართველო იქნება ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლებსაც შეეხებიან პრეზიდენტ ობამას მომავალი ვიზიტის მსვლელობის დროს მოსკოვში. უკანასკნელი, რაც ჩვენ არ გვინდა – ეს არის კვლავ გადაიქცეს ჩვენი ქვეყანა ბრძოლის არენად. დაე, იგი იყოს განხილვის საგანი მოლაპარაკების დროს.

***– მიუხედავად ამისა, თქვენი დიპლომატიური იზოლაცია ხომ რეალური ფაქტია. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს წასვლისა და პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის დაღუპვის შემდეგ...***

– დიახ, ამჟამად უფრო ცოტა სამიტი იმართება, ნაკლები ერთობლივი განცხადებები კეთდება ბალტიის ქვეყნებთან, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან. რეალურად კი რუსეთის გავლენის სფერო მნიშვნელოვნად შემცირდა. მართლა მიაღწიეს რუსებმა გამარჯვებას ყირგიზეთში? ეჭვი მეპარება. ბაკიევის რეჟიმის ჩამოგდების შემდეგ სიტუაცია გამოიყურება მძიმედ და არასტაბილურად. რუსეთმა ჩამოიშორა შუა აზიის ქვეყნები.

რაც მეტ მოთხოვნას უყენებს იგი უკრაინას, მით ნაკლები შანსია, რომ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდეს. არც ერთი მექანიზმი დსთ-ში ნამდვილად არ მუშაობს. დღეს რუსეთი ცდილობს გამოიჩინოს მეტი სირბილე ევროპელ მოკავშირეებთან ურთიერთობაში და სიმკაცრე თავის მეზობლებთან დამოკიდებულებაში. მთელი რეგიონი გარდამავალ პერიოდშია. ეს არის ისტორიულად და პრაქტიკულად შეუქცევადი პროცესი.

***– რა პირობებშია შესაძლებელი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზაცია?***

– ჩვენ არა ვართ შტერები და თვითმკვლელები. რუსეთის მტრად ყოლას უკიდურესად დიდი პრობლემები ახლავს თან. ჩვენ განვიცდით უზარმაზარ მიდრეკილებას რუსეთის კულტურისადმი. ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობანი უზარმაზარია. ყველაზე პოპულარული რუსი მწერალი ბორის აკუნინი სინამდვილეში ეროვნებით ქართველია. დიდი თეატრის საუკეთესო მომღერლები და მოცეკვავეები, საუკეთესო მოსკოველი ექიმები – ყველა მათგანი ქართველია.

ყველაფრისადმი გასაღები რუსეთის მოდერნიზაციაა. ან დღევანდელი ფეოდალური სისტემა გავა ნამდვილ ლიბერალიზმზე და დემოკრატიაზე, ან ქვეყანას გაუჩნდება უზარმაზარი პრობლემები. მიმაჩნია, რუსეთი დიდი ცვლილებების ფაზაშია, და ეს შეიძლება შემოტრიალდეს, როგორც უკეთესობისკენ, ისე უარესობისკენ. ჩვენ ყველას გვინდა, რომ დიმიტრი მედვედევი წარმოადგენდეს რაიმეს. განსაკუთრებით მე, თუმცა იგი არასასიამოვნო რამეებს ლაპარაკობდა ჩემი მისამართით. მაგრამ რუსეთში არის ხელისუფალთა არსებობის გარკვეული ტრადიცია რეალური ხელისუფლების გარეშე. მაგალითად, სტალინის დროს უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის თავმჯდომარე იყო მიხეილ კალინინი, მეტად რბილი და ლიბერალური კაცი, რომლის ოჯახის ნაწილიც რეპრესირებული აღმოჩნდა. იმედი მაქვს, რომ მედვედევი არ გახდება ახალი კალინინი.

***– რას აპირებთ 2013 წელს თქვენი საპრეზიდენტო მანდატის დასასრულის შემდეგ? ხომ არ აპირებთ გახდეთ პრემიერ-მინისტრი, როგორც ვლადიმერ პუტინი?***

– პუტინი – პუტინია. რუსეთს მართავს არა პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი, არამედ პუტინი და უშიშროების ფედერალური სამსახური. მე კი ამჯერად ძალიან მიზიდავს თავისუფლება, შესაძლებლობა, ვიარო ქალაქში მცველების გარეშე. მიუხედავად ამისა, ჩემი ძირითადი მიზანი საქართველოსთვის რჩება რეფორმების გაგრძელება. მე შევქმენი პარტია, რომელიც ჩემს შემდეგაც იარსებებს. ჩემს პოლიტიკურ პრაქტიკაში ვაცნობიერებ, რომ რეფორმები სერიოზულად წირავენ ჩემს მიერ მოპოვებულ პოპულარობას. შედეგად თქვენ აღარ ეყვარებით, მაგრამ შემდეგ ხალხი მაინც გაღიარებთ გაწეული მუშაობის გამო. ერთი მეორეს მოსდევს. ვფიქრობ ამ შესაძლებლობაზეც (გავხდე პრემიერ-მინისტრიძ, მაგრამ ამჯერად ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გაურკვეველი რამეა. ვინ იცის, როგორი იქნება ორი წლის შემდეგ ეკონომიკური სიტუაცია, საკონსტიტუციო რეფორმების მდგომარეობა, ჩემი განწყობილება და პოლიტიკური რეიტინგი?

Le Monde.fr

## დედამიწის ზურგზე



**სამართალდამცველებმა ბრალი დასდეს ბუშის ადმინისტრაციას ამორალური ცდების გამო პატიმრებზე**

**გაერთიანება „ექიმები ადამიანების უფლებებისთვის“ აქვეყნებს განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ ცდების მიზანი იყო „წამებათა სამართლებრივი მფარველობა“, ისევე, როგორც პროცედურების გამართლება.**

* * *



**ობამამ გაარკვია, ვის „ამოართყას პანღური“ მექსიკის ყურეში მომხდარ კატასტროფასთან დაკავშირებით**

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ენ-ბი-სი-სთვის მიცემულ ინტერვიუში უპასუხა ბრალდებას არასაკმარისად გადამწყვეტი მოქმედებების გამო მექსიკის ყურეში ნავთობის დაღვრის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სპეციალურად შეხვდა ექსპერტებს, რომ გაეგო, თუ, კერძოდ, ვის უნდა „ამოართყას პანღური“ ინციდენტთან დაკავშირებით. მთავრობას აკრიტიკებენ როგორც კონსერვატორები, ისე დემოკრატების ნაწილიც.**

* * *



**წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების ავტორი გაზეთიდან წავიდა**

**დანიელმა კურტ ვესტერგარდმა გაზეთში იმუშავა 27 წელი. მან განაცხადა, რომ მიდის ასაკის გამო – ივნისში მხატვარს 75 წელი უსრულდება. ამასთან ერთად კარიკატურისტს იმედი აქვს, რომ მისი წასვლა გააუვნებლებს გამოცემის თანამშრომელთა უსაფრთხოებას ახალი თავდასხმებისგან.**



◎ გამოცა

> **„ჩვენში მთამსვლელობა მარტო მთაზე მსვლელობა არასოდეს ყოფილა. იგი ჩვენი ეროვნული ყოფით, ისტორიითა და გეოგრაფიით ნაკარნახევი ვაჟკაცური მოღვაწეობა იყო და არის“.**
>
> **ლევან გოთუა**

# წიგნი, რომელსაც ნახევარი საუკუნე ველოდით...

მსოფლიოში მთამსვლელობის, ანუ ალპინიზმის დასაწყისად 1786 წელი ითვლება, როდესაც ფრანგი ექიმი მიშელ პიკარი და შვეიცარიელი გამყოლი ჟაკ ბალმა ალპების უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე ავიდნენ, თუმცა, თუ თვალს გადავავლებთ საქართველოში მთაზე ასვლების ისტორიას, სათავეები უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი. ჩვენში მრავალი მითი, ლეგენდა და მაგალითი ადასტურებს, რომ ქართველი მთიელები უძველესი დროიდან იყვნენ მთასვლასთან დაკავშირებული.

ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია სვანეთში, სოფელ ჭუბერში მიკვლეული მონადირის სამარხი, რომელშიც თანამედროვე წერაყინის ანალოგიური ნივთი მოიპოვეს.

— ლარი-ლარის კრემაციულ სამაროვანში აღმოჩნდა მთაში სასიარულო ჯოხი — წერაყინი, „ალპენშტოკს“ რომ ვეძახით საერთაშორისო ტერმინოლოგიით. ესაა პირველი ალპენშტოკი, რომლის მსგავსი არსადაა მსოფლიოში! მისი ასაკი 2500 წელია, — წერს სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, სპორტის ოსტატი მთამსვლელობაში, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ჩართოლანი.

დარწმუნებული ვარ, ასეთ უნიკალურ აღმოჩენას, მთამსვლელთა უმაღლესი სპორტული მიღწევებით განთქმულ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში უფრო დიდი რეზონანსი ექნებოდა. ასეთ ინფორმაციას არა მარტო ტურისტულ ცნობარებსა და გზამკვლევებში, არამედ საგანგებო წიგნებსა და ენციკლოპედიებშიც დააფიქსირებდნენ; ჩვენში კი სამეცნიერო კრებულების ჩარჩოს ვერ გასცდენია...

ეს ისე, ცნობისათვის.

* * *

სულ ახლახან დაისტამბა გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, ცნობილი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, **ივანე ჯაფარიძის** წიგნი — **„მყინვარწვერიდან ევერესტამდე“ (1923-1991 წ.წ.);** წიგნი, რომელსაც ორმოცდაათი წელი ველოდით. მასში, გარდა ქართველ მთამსვლელთა დიდი სპორტული მიღწევებისა, გაცოცხლებულია ქართული მთამსვლელობის ფუძემდებლებისა და იმ მამულიშვილთა სახეები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს როგორც მთამსვლელობაში, ისე ქართულ მეცნიერებაში, მწერლობასა თუ ხელოვნებაში.



სრულიად სამართლიანად წერს წიგნში დასტამბული მოგონების ავტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მთამსვლელი რამაზ შენგელია, რომ „ალპინიზმი ინტელექტუალების სპორტია“.

* * *

საქართველოში, ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ალპინიზმის ისტორია 1923 წლიდან იწყება, როცა თვრამეტკაციანი ჯგუფი, მათ შორის ხუთი ქალი, გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ავიდა. თითქმის იმავდროულად, მწვერვალზე ავიდა სამეცნიერო ექსპედიციის შვიდკაციანი ჯგუფი, რომელსაც გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე ხელმძღვანელობდა.

მას შემდეგ, ქართველმა მთამსვლელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ჩვენმა სპორტულმა გუნდებმა ყოფილ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მრავალჯერ დაიმსახურეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების წელს, რომან გიუტაშვილმა ქართველთაგან პირველმა შედგა ფეხი დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე, ევერესტზე, ანუ ჯომოლუნგმაზე, და საქართველოს ეროვნული დროშა ააფრიალა, რითაც ფრთები შეასხა ჩვენი ყველა თაობის მთამსვლელთა ოცნებას. ხოლო 1999 წელს, საქართველოს ორი გუნდი, თითქმის ერთდროულად ავიდა ევერესტზე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევაა!

მიუხედავად ამისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოთხმოციან წლებში საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარის, ბატონ **ოთარ გიგინეიშვილის** ავტორობით „ცოდნის“ ხაზით დასტამბულ ბროშურას — **„მთამსვლელობა საქართველოში“;** — ნახევარ საუკუნეზე მეტია, ჩვენთან მთამსვლელობაზე წიგნი არ დასტამბულა.

ამ ხარვეზის შევსების პატივი ივანე ჯაფარიძეს ერგო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, — ამ მრავალმხრივ საყურადღებო და სასარგებლო წიგნს მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახის შთამომავალი, ლეგენდარული ალექსანდრა ჯაფარიძის ოჯახურ გარემოში გაზრდილი და მისი შვილობილი, ივანე ჯაფარიძე მთელი შეგნებული ცხოვრება წერდა. სკოლის ასაკიდან, იგი რუდუნებით აგროვებდა ქართულ მთამსვლელობასთან დაკავშირებულ ყოველგვარ მასალას. თავისი სახელოვანი წინაპრების მშობლიურ სოფელში, ხრეითში, მამაპაპეულ სახლში გახსნა მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი; მოამზადა შვიდი ტელეფილმი, რომელსაც დღემდე უჩვენებენ ქართულ ტელეარხებზე; შექმნა თანამედროვე მთამსვლელთა საუბრის აუდიო ჩანაწერების კართოტეკა, რომლის მეშვეობითაც ჩვენი სახელოვანი მთამსვლელების ხმები სამუდამოდ დარჩება მომავალ თაობებს.




ყოველივე ამის გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია გამოჩენილი მთამსვლელის, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტის გივი ქართველიშვილის დაჟინებული თხოვნა — წიგნი ქართველ მთამსვლელთა მოღვაწეობისა და მიღწევების შესახებ სწორედ ივანე ჯაფარიძეს შეექმნა.

გთავაზობთ ამონარიდს წიგნის რედაქტორის, ბატონ **გივი ქართველიშვილის** წინასიტყვაობიდან:

**„ — სწორედ ივანე ჯაფარიძის ოჯახის უფროს თაობას და პირადად მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ გადარჩა ჩვენი სახელოვანი მთამსვლელებისა და დიდი მამულიშვილების გიორგი ნიკოლაძის, სოსო ასლანიშვილის, ალექსანდრა, სიმონ, ალიოშა ჯაფარიძეების, იაგორ კაზალიკაშვილის, სანდრო გვალიას, მიქელ პატარიძის, ლევან გოთუას, ლევან მარუაშვილის, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანების, ქელეშბი ონიანის, არჩილ ღუდუშაურის, რომანოზ ავალიანის, დავით წერეთლის, დავით ფურცელაძის, კაკო მარის, ოთარ გიგინეიშვილის, მზია ერისთავის, მარინე უთმელიძის, ლევან სუჯაშვილის, ალექსანდრე ნემსიწვერიძის, მაკრინე ქურდიანისა და სხვათა მიმოწერა, ფოტოსურათები, დღიურები და სხვა. ფასდაუდებელია მის არქივში შემონახული იმ ისტორიული დოკუმენტებისა თუ ეპისტოლარული მასალის მნიშვნელობა, რომელსაც ქართული მთამსვლელების სათავეებთან მივყავართ და პირველად ამ წიგნში იხილავს დღის სინათლეს. ასევე კარგადაა წარმოდგენილი ჩვენი მთამსვლელებისა და მეკლდეურების მიღწევები, ამ მიღწევათა ქრონოლოგია და ის თბილი მოგონებები, რომლებმაც როგორც ჩვენ, ასევე მთელ ქართველ საზოგადოებას მართლაც გაგვიცოცხლა და ხელშესახებად წარმოგვიდგინა უძვირფასესი ადამიანების სახეები. ამდენად, ავტორმა დიდი და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ მთამსვლელობას“.**

ძნელია, უფრო ზუსტად შეაფასო წიგნის ავტორის მრავალი წლის უანგარო გარჯა...

წიგნი „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“ სულმოუთქმელად იკითხება. რაც მთავარია, იგი მრავალს აღუძრავს მთასთან ზიარების სურვილს.

ერთი სიტყვით, ესაა საუკუნის წიგნი ქართულ მთამსვლელობაზე.

დარწმუნებული ვარ, წიგნი მომავალშიც მრავალს აალებინებს ხელში კალამს, რათა მადლობა გადაუხადონ წიგნის ავტორს; ასევე წიგნის რედაქტორს, უანგარო გარჯისათვის; ასევე ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ წიგნის გამოცემაში; პირველ რიგში — **„მაგთის“,** რომელიც ჭეშმარიტად ქართულ საქმეს ემსახურება.

დასასრულ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, — ავტორის კეთილშობილურ ჟესტად მიმაჩნია, რომ ათეული წლების მანძილზე ნალოლიავები მასალებით შექმნილი წიგნი, არა მის სახელოვან წინაპრებს, არამედ ყველა ქართველი მთამსვლელის ხსოვნას ეძღვნება.

**ჯუმბერ ჯიშკარიანი**

◎ განგაში!

# რა ბედი ელის აფხაზეთში ქართული კულტურის ისტორიულ ძეგლებს?

**ახლახან „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა დამაფიქრებელი ინფორმაცია ასეთი სათაურით: „რუსები აფხაზეთში კულტურულ ძეგლებს იცავენ“. ინფორმაციის თანახმად, იქმნება ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის რუსულ-აფხაზური ერთობლივი საზოგადოება, რომლის ხელმძღვანელადაც ისტორიის და კულტურის ძეგლების დაცვის სრულიად რუსეთის საზოგადოების თავმჯდომარე პაველ პოჟიგაილოა დანიშნული. იქვე ვკითხულობთ, რომ აფხაზეთში აღრიცხვაზეა სულ კულტურული მემკვიდრეობის 25 ობიექტი.**

1959 წელს ხელოვნებათმცოდნე თეიმურაზ ბარნაველის მიერ გამოცემულ წიგნში „საქართველოს კულტურის ძეგლები“, აფხაზეთიდან შეტანილია 80 ერთეული ქართული კულტურის ისტორიული ძეგლი. მათ შორის არის ბიჭვინთის ეკლესია VIII-IX საუკუნეებისა, გაგრის ეკლესია VI-VIII საუკუნეებისა, ლიხნის ეკლესია X-XI საუკუნეებისა, ბედიის მონასტერი X-XI საუკუნეებისა, ბესლეთის ხიდი XI-XII საუკუნეებისა და სხვა.

აღნიშნული ინფორმაცია მეტისმეტად მემცხეთა და თან დამაფიქრა, რა შუაშია ქართული კულტურის ძეგლებთან დაკავშირებით რუსული მხარე და მისი მაღალჩინოსნები. აფხაზეთში შემონახული ყველა კულტურის ძეგლი, ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორებიცაა: გელათი, ალავერდი, ბაგრატი, იყალთო, კუმურდო, ნიკორწმინდა, შემოქმედი და ბევრი სხვა. აღნიშნულ ინფორმაციაში დამაფიქრებელი ის არის, რომ არ აპირებს მავანი და მავანი აღნიშნულ ძეგლებს იგივე ბედი სწიოს, რაც თავის დროზე ისეთ უნიკალურ ქართულ ძეგლებს გადახდა, როგორებიცაა: ოშკი, ხახული, იშხანი, პარხალი, ტბეთი და სხვა. აქ ჩამოთვლილ ისტორიულ ძეგლებს, თურქეთში ჩასული ათასობით უცხოელი ტურისტი ნახულობს, მაგრამ ისინი ქართული კულტურის ისტორიული ძეგლები რომ არის, სამწუხაროდ არავინ არ ახსენებს. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ისტორიული კულტურის ძეგლები ვიდრე ასეთ სიტუაციაში არ აღმოჩნდება, მანამდე უნდა მიხედვა. შემდეგ, გვიან იქნება თითზე კბენანი. არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ეს ძირძველი ქართული ისტორიული კულტურის ძეგლები მავანმა და მავანმა აფხაზურ კულტურის ძეგლებად ჩათვალოს და ამით კიდევ ერთი დიდი შეურაცხყოფა მიაყენოს ჩვენი ქვეყნის სახელოვან ისტორიას. ისტორიას, რომლის შექმნაში ისეთივე წვლილი მიუძღვის აფხაზეთს, როგორც, ქართლს, კახეთს, იმერეთს, სამეგრელოს, გურიას, აჭარას, სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმს და სხვას. დაბოლოს იმას ვიტყვი, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ქართული კულტურის ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობა აფხაზებისა და ქართველების პრეროგატივა უნდა იყოს და არა რუსეთისა. სეფე სიტყვა საქართველოს კულტურის სამინისტროს ეკუთვნის.

**დურმიშხან ცინცაძე**



ბედიის მონასტერი

ჭიდაობა

# სამ დღეში – 21 მედალი

**თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა სახელოვანი ფალავნების – გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირები – „ოქროს გრან პრი“, რომელშიც 14 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.**



ქართველებმა ტურნირი 21 სხვადასხვა სინჯის მედლით დაამთავრეს. თავისუფალ ჭიდაობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მალხაზ ქურდიანი (60კ და პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი გიორგი გოგშელიძე (96კ. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ დავით მარსაგიშვილი (84კ, ბელდუხ გავაშელიშვილი (96კ და ლევან ბერიანიძე (120კ. მესამე ადგილებზე გავიდნენ მალხაზ ზარქუა (60კ, შალვა მუზიაშვილი (66კ, დავით ქერაშვილი (96კ და დავით მოძმანაშვილი (120კ. „კლასიკოსებმა“ მეტი ჯილდო შემატეს საქართველოს სპორტულ ყულაბას. აქ ჩემპიონები გახდნენ ლაშა გოგიტიძე (55კ, გიორგი ცირეკიძე (74კ და ვლადიმერ გეგეშიძე (84კ. ვერცხლის მედლები ერგოთ დავით ქარჩავას (84კ, ვასილ იმერლიშვილსა (96კ და ოთარ ბოლქვაძეს (120კ, ხოლო ზურაბ კეკელიძემ (55კ, რევაზ ლაშხმა (60კ, ანტონ მამაგეიშვილმა (66კ, გენადი გოგიშვილმა (74კ, იოსებ ჯაბიძემ (96კ და გურამ ფერსელიძემ (120კ მესამე ადგილები იკმარეს.

ამ შეჯიბრების შედეგებით ეროვნული ნაკრებების მწვრთნელები შეარჩევენ იმ მოჭიდავეებს, რომლებიც წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატებისთვის მოემზადებიან.

ძიუდო

# დაბრუნება „ოქროთი“ აღნიშნა



**ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე კარგა ხანია, შეჯიბრებებზე არ გამოჩენილა, თუმცა ვარჯიში არ შეუწყვეტია. კარგ სპორტულ ფორმაში რომ არის, ეს მადრიდის მსოფლიოს თასის გათამაშებამაც დაადასტურა: რიონისპირელმა ფალავანმა (100 კგ.ქ ჯგუფში სამ მეტოქეს სძლია, ნახევარფინალში ბრაზილიელ ლეონარდო ლეიტეს აჯობა, ფინალში კი ლატვიელი ევგენის ბოროდავკო დაამარცხა და ოქროს მედალი დაიმსახურა. ამავე წონაში ცდიდა ძალებს ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური. ისიც ტრავმებს იშუშებდა და ამიტომ არ ჩანდა სარბიელზე. ეტყობა, ჯერ კიდე ვერ შეძლო ჩვეული კონდიციების დაბრუნება, რადგან პირველსავე წრეში სლოვაკ ზოლტან პალკოვიჩთან დამარცხდა.**

მადრიდის ტურნირზე ბრინჯაოს მედლები ამირან პაპინაშვილმა (60კ და ნუგზარ ტატალაშვილმა (73კ მოიპოვეს. ნუგზარმა ოთხი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან და ნახევარფინალში გამოცდილ ჩეხ მოჭიდავესთან – იაროშირ იეჟეკთან წააგო. პაპინაშვილი კი მეოთხედფინალში ფრანგ ისამ ნიურის დანებდა, სამაგიეროდ, დამამშვიდებელ ჯგუფში მესამე ადგილისთვის პაექრობაში ჩინელ ა, ლამუსს აჯობა.

ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი ჰქონდათ მინდია ბოდაველსა (90კ და ადამ ოქრუაშვილს (მძიმე წონაკ, მაგრამ გადამწყვეტი ორთაბრძოლები, შესაბამისად, ოლიმპიურ ჩემპიონთან ილიას ილიადისთან (ჯარჯი ზვიადაურიძე და პოლონელ იანუშ ვოინაროვიჩთან წააგეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით ბრაზილიელებმა დაიკავეს. მესამე ადგილი იაპონიას (2 „ოქრო“კ ხვდა. მესამე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, ლატვიამ (1 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“კ და საქართველომ (1 „ოქრო“, 2 „ბრინჯაო“კ გაინაწილეს.

მძლეოსნობა

# წინ ევროპაა

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს „სპორტის დედოფალი“ ეწვია – გაიმართა 1991-1993 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობა. სხვადასხვა რეგიონის 170-მდე წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს მედლებს.** ორდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **ქალებში** – სალომე სირაძე (ქუთაისი, 100 მ.კ, ლიკა ლოლუა (ფოთი, 200 მ.კ, გაიანე უსტიანი (ახალციხე, 400 და 800 მ.კ, თამუნა შამოევა (თბილისი, 400 მ. თარჯრბენიკ, თათია პაიკიძე (ვანი, სიგრძეზე, სიმაღლეზე ხტომა და სამხტომიკ, ხატია ხურცია (ხონი, ბირთვიკ; **ვაჟებში** – ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი, 100 მ.კ, თემურ ცირამუა (ზუგდიდი, 110 მ. თარჯრბენიკ, დენის ქვანია (ზუგდიდი, 200 მ.კ, თემურ ცირამუა (ზუგდიდი, 400 მ.კ, თემურ გუგუშვილი (აბაშა, 800 მ.კ, გიორგი ლომიძე (თბილისი, 1500 მ.კ, ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, სიგრძეზე ხტომა, სამხტომიკ, გიორგი ჩიტაშვილი (თბილისი, უროკ, ლევან წიკლაური (თბილისი, ბირთვიკ.



ათლეტიზმი

# თასები – რეკორდებით

**წლეულს აგვისტოში სლოვაკეთი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს ათლეტიზმში. ამ შეჯიბრებისთვის მზადებას მიეძღვნა საქართველოს თასის გათამაშება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში გაიმართა. 10 გუნდის 150 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას.**



წონითი კატეგორიების მიხედვით ძალისმიერ სამჭიდში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი ფურცელაძე (თსუ, 425 კგკ, შალვა აკოფაშვილი (თსუ, 470კ, ზურაბ ჩხეტიანი (ქუთაისი, 565კ, ნიკა ფერაძე (თსუ, 505კ, ალექსანდრე ფეიქრიშვილი (დაცვის პოლიცია, 640კ, ალექსი ორკოდაშვილი (თსუ, 555კ.

შეჯიბრებაზე ოთხი რეკორდიც დამყარდა. ბიცეპსებით წონით აწევაში დავით გაბელიამ (75 კგ., „გლადიატორი“კ 82,5 კილოგრამით საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა შეასრულა. ქუთაისელმა დათა სანაიამ (82კ 100 კილო დაძლია და მსოფლიოს რეკორდს 15 კილოგრამით გადაამეტა. ლევან ციციშვილმა (თსუ, 90კ 100-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და მსოფლიოს მიღწევა 2,5 კილოგრამით დაამძიმა. წოლჭიმში სპეციალური ეკიპირებით 67,5 კილოში ზაურ ჯავახიშვილმა (თსუკ 192,5 კილო ასწია, რაც საქართველოს ახალი მიღწევაა.

წყალბურთი

# ჩემპიონობა „თბილისმა“ მოიპოვა



**„ოლიმპიკის“ განახლებულ აუზში ოთხ დღეს გრძელდებოდა წყალბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი შარშანდელი ჩემპიონის – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსის“, „თბილისის“, „ივერიისა“ და „ნეპტუნის“ მონაწილეობით.**

ჯგუფურ ტურნირში „თბილისმა“ და „ლიგამუსმა“ ორ-ორი შეხვედრა იოლად მოიგეს, მათი დაპირისპირება კი ჩემპიონის მარცხით (10:15კ დამთავრდა. მედლების ბედი ფლეი-ოფში გადაწყდა. თბილისელებმა გადამწყვეტ მატჩშიც სძლიეს ლიგამუსელებს 11:9 და პირველ ადგილზე გავიდნენ. „ვერცხლი“ „ლიგამუსს“ ხვდა. მესამე ადგილი „ივერიის“ მძლეველ (18:15კ „ნეპტუნს“ ერგო.

წლეულს შემოდგომიდან ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, სავარაუდოდ, ევროტურნირებში ჩაებმებიან.

რეკორდი

# მშობლიურ კედლებში

**პოლონურ ბიდგოშჩში, ევროპის მძლეოსნურ ფესტივალზე, თითქოს „მშობლიური კედლებიც დაეხმარნენო“, ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა პოლონელმა ანიტა ვლოდარჩიკმა.** მან ურო 78,30 მეტრზე სტყორცნა, რითაც 34 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე ადრინდელი მიღწევა, მეორე ადგილზე გასულმა გერმანელმა ჰაიდლერმა მხოლოდ 74,10 მეტრი აჩვენა.

ინტერნეტიდან

## მუტკო იმედს იძლევა

**როგორც სოჭიდან იტყობინებიან, იქ მყოფ რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას იმავე ქვეყნის სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მინისტრმა ვიტალი მუტკომ განაცხადა, რომ ვარაუდობს, წელიწადნახევარში გადაწყვეტს სპორტის ზამთრის სახეობებში მომზადების პრობლემას.**

## მარადონას სექსის ნება დართეს!

**არგენტინის ნაკრები გუნდში ძალზე თავისუფალი წესრიგისთვის გააკრიტიკა ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულა და სილვამ. პრეზიდენტმა განსაკუთრებით მიუთითა ფეხბურთელების „დაქალებზე“, რომელთაც მიეცათ სამხრეთ აფრიკაში გუნდთან ერთად ყოფნის ნებართვა.**

„სექსი არის ყოველი ადამიანის სოციალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, ასე რომ აქ არავითარი პრობლემა არაა, –განაცხადა არგენტინის ნაკრების ექიმმა დონატო ვილანიმ, – სქესობრივი დამოკიდებულება უნდა იყოს სტაბილური პარტნიორი და არა რაღაც სტიმულატორი შამპანურისა და ვიაგრას სახით“.

„მე მეჩვენება, რომ ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ მარადონას შეუძლია, – მიაჩნია და სილვას, – მინდა ვნახო, არგენტინელი ფეხბურთელები როგორ გამოიყურებიან თავიანთ სატრფოებთან ერთად ცხელი ღამის შემდეგ“.

შემდეგ კი ბრაზილიის პრეზიდენტმა დაამატა: „ეჭვი არ მეპარება, რომ ბრაზილიის ნაკრები მოიგებს მსოფლიო ჩემპიონატს“.



◉ მკითხველმა ლექსი შემოგვაჩვია

# პუტინთან მალაპარაკეთ!

ვინც ბრესტს და მოსკოვს ვიცავდი, მე ის ქართველი ბიჭი ვარ,
პუტინთან მალაპარაკეთ, საბუთი ხელში მიჭირავს;
მინდა ვარწმუნო სიმართლე, – კი არ დავუწყო გინება,
მიყვარს, კაცი რომ გამიგებს და ტკბილად გაეცინება.
ოსთა საკითხზე პუტინი რატომ მრუშობს და ქილიკობს,
არც ისტორია იცის და არც ბაყათარი ვინ იყო.
რატომ ჰქომაგობს, ვერ ვხვდები ზოგ-ზოგ ქურდებს და
ყაჩაღებს,
მაგათი გულისათვის რომ „ავანტიურებს“ აჩაღებს.
არ მესმის, ჩვენგან რა უნდა, ან გულს რად მიხდის საოხებს,
მაგის სამშობლოს ვიცავდი, ეგ ჩემს სამშობლოს აოხრებს.
ძაან ბევრი მაქვს სათქმელი, თავს არ მოგახვევთ არაკებს,
პირისპირ დაგვსხით ორთავე, კაცურად მალაპარაკეთ.
მინდა ვარწმუნო კაცობა რუსული გულით მოუბარს, –
ძალადობა და ტყუილი რუსეთს კარგს არას მოუტანს.
მანდ გავაშავებ ზანგივით ხრუშჩოვ-სუსლოვის მოწაფეს,
ქართველი ხალხის ზიზღით რომ მთელი მსოფლიო მოწამლეს.

გიორგი ყარაულაშვილი
21 მაისი, 2010 წელი. ქ. თბილისი.

◉ თითქმის დაუჯერებელი

# მეტი იცეკვეთ!



**სამეჯლისო ცეკვების წრეში მისვლა კვირაში თუნდაც ორჯერ ამცირებს გონებასუსტობის რისკს.**

იმ ბავშვების ძვლები, რომლებიც მშობლებს დაჰყავთ ცეკვის კლასებში, 5 პროცენტით უფრო მაგარია, ვიდრე სახლში მჯდომებისა და ზარმაცებისა.

მეცნიერებმა მოაწყვეს ექსპერიმენტები გულით ავადმყოფებს შორის. მოცეკვავეებს სისხლში ჟანგბადის ოდენობა გაეზარდათ 18 პროცენტით, ფიზკულტურელებს – მხოლოდ 18 პროცენტით. ქალები ავთვისებიანი სიმსივნის მოშორების შემდეგ უფრო ჩქარა ჯანსაღდებიან, თუ ჩვეულებრივ თერაპიას უმატებენ ცეკვებსაც.

მასტექტომიამ შეიძლება მიგვიყვანოს მხარის მოძრაობის დაკარგვამდე, მაგრამ ქალები, რომლებიც ცეკვავენ, ინარჩუნებენ მოქნილობას.

ცეკვები წვავენ დაახლოებით 400 კილოკალორიას საათში.

სტრიპტიზის პროფესიული მოცეკვავეები უფრო მეტ ფულს ღებულობენ ავულაციის პერიოდში.

ჩვილებს ხუთი თვიდან ორ წლამდე ასაკში შეუძლიათ მოახდინონ რეაგირება ანდა იმოძრაონ კიდეც მუსიკის რიტმების პასუხად, თანაც ეს რიტმები მათზე მოქმედებენ უფრო ძლიერად, ვიდრე ადამიანის მეტყველება.

პეკინში დიდი ტემპით იხვეჭს პოპულარობას მამაკაცის ცეკვა მუცლით. მისი დახმარებით ჩინელები ებრძვიან ზედმეტ წონას.

ბევრი ცეკვა ნაყოფიერ გავლენას ახდენს ადამიანის ნერვულ სისტემაზე: ხსნის ნერვულ დაძაბულობას და თავის ტკივილს, სტაბილურ მდგომარეობაში მოჰყავს არტერიული წნევა.

იმ ადამიანებს, ვინც პროფესიულად ემსახურებიან ცეკვას, არ აწუხებთ პარკინსონის დაავადება.

◉ ჯანმრთელობა

## რატომ არ სძინავს მამაკაცს?

**ასაკოვანი მამაკაცები ველარ ახერხებენ გამოძინებას ტეტოსტერონის დონის შემცირების გამო, მიაჩნიათ კანადელ მეცნიერებს. 30 წლის შემდეგ მამაკაცური ჰორმონის გამომუშავება ორგანიზმში იწყებს შემცირებას – დაახლოებით 2 პროცენტით წელიწადში.** 40 წლისთვის ძილის ხარისხი მნიშვნელოვნად უარესდება. მეცნიერებმა კანადიდან აღმოაჩინეს ურთიერთკავშირი ორ ამ ფაქტორს შორის. პრობლემაზე ახალი შეხედულება (ადრე მიაჩნდათ, რომ პირიქით, ძილის უკმარისობას მივყავართ ტეტოსტერონის გამომუშავების შემცირებასთანძ შეიძლება შეცვალოს მისი მკურნალობის მეთოდიკამ. მაგალითად, გამოიყენოს ჰორმონალური თერაპია.

## ალერგიკოსის ბედნიერება

**ალერგიას აქვს თავისი დადებითი მხარეებიც – მაგალითად, ამცირებს კიბოს განვითარების რისკს, ამტკიცებენ ამერიკელი ეპიდემიოლოგები. მათი მონაცემებით, მამაკაც ასტმატიკოსებს საკვერცხეების კიბოთი დაავადების შანსი 30 პროცენტით უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე დანარჩენებს. ხოლო ბავშვები, ვისაც პოლინოზი აწუხებს, 40 პროცენტით იშვიათად ავადდებიან ლეიკემიით.**

გამოკვლევებმა დაადასტურეს კავშირი ალერგიასა და ფილტვების კიბოს განვითარების რისკის შემცირებას შორის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ალერგიული რეაქციები სტიმულს აძლევენ იმუნურ სისტემას, რითაც ეწინააღმდეგებიან სიცოცხლისთვის ამ მეტად სახიფათო დაავადებათა წარმოქმნას.





## შეიკარით ქამრები!

**თურქეთში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში დაღუპულთა რიცხვი შეიძლება უფრო მცირე ყოფილიყო, თუ ავტობუსში მსხდარი ხალხი დაბმული იქნებოდნენ ქამრით, მიაჩნიათ ავტოინსპექციაში.**

„მიმაჩნია, რომ თურქეთში მომხდარი საშინელი მსხვერპლის რაოდენობა, რაც ანტალიის მახლობლად მოხდა, ბევრად უფრო ნაკლები იქნებოდა, თუ ავარიის მომენტში ხალხი ქამრით იქნებოდა შებნეული, – მიაჩნია ერთ-ერთ პიროვნებას ავტოინსპექციიდან. – მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ავტობუსის პრაქტიკულად ყველა მგზავრი მიდიოდა უსაფრთხოების ქამრის გარეშე. შედეგად 13 კაცი დაიღუპა, 26 კი საავადმყოფოში იმყოფება, თანაც ზოგიერთი მათგანი მეტად მძიმე მდგომარეობაშია“.

ექსპერტების შეფასებით, უსაფრთხოების ქამრები დაახლოებით 40 პროცენტით ამცირებენ მომხდარის სიმძიმეს სერიოზული ავარიების დროს და ხშირად გვინარჩუნებენ სიცოცხლეს.

◉ ინფორმაცია

## გაზი სურთ, ჩვენთან ყოფნა არა

**ოსი სეპარატისტებისა და ეუთოს წარმომადგენლების შეხვედრა ჟენევაში, რომელზეც ახალგორის რაიონისათვის საქართველოდან ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხი განიხილებოდა უშედეგოდ დასრულდა.**

ეუთომ ოს სეპარატისტებს ამ საკითხში ქართული მხარის პოზიცია გადასცა, რომლის მიხედვითაც საქართველო მზადაა ახალგორის რაიონს მიაწოდოს ბუნებრივი აირი იმ შემთხვევაში თუკი საქართველოს მიერ მიწოდებული ბუნებრივი აირით ე.წ. სამხრეთ ოსეთში მდგარი რუსული საოკუპაციო ჯარების ნაწილები არ ისარგებლებენ.

ოს სეპარატისტთა ლიდერის ე.წ. რწმუნებული პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევი ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამს და აცხადებს, რომ საქართველო არ აპირებს რეალური ნაბიჯების გადადგმას იმისთვის, რათა ახალგორის რაიონს გაზი მოაწოდოს.

– ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და არ არის საჭირო ვინმემ მიგვითითოს ვის უნდა მივაწოდოთ გაზი და ვის არა. ამიტომაც ამ საკითხს თავად გადავწყვეტთ, – აცხადებს ჩოჩიევი.

მისივე თქმით, ეუთოს პოზიცია ამ ორგანიზაციის მიერ მსგავსი საკითხის გადაწყვეტაში არაპრინციპულ მიდგომებზე მეტყველებს. „ჩვენ უკვე მერამდენედ დავინახეთ ეუთოს პროქართული განწყობა“, – აცხადებს ჩოჩიევი.

ჯი-ეიჩ-ენი



**ჯონი ყიფიანი, კოტე შენგელია, მურად ანჯაფარიძე, გია გვაზავა, თემურ ჯანაშია, იოსებ ხარებავა, მამუკა ოზოლაძე, შოთა გვასალია ღრმა მწუხარებას გამოხატავენ მეგობრის, შესანიშნავი მამულიშვილის**

**თენგიზ სიხარულიძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს. პანაშვიდი 9 VI, 17 სთ. გამოსვენება 10 VI, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას VII კვარტალი V/ა კორპუსი (ძეგლთანძ.**



კომპანია „აპავენ-ჯორჯია“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კომპანიის კომერციული დირექტორი

გურამ დანდურიშვილი

პანაშვიდი 8, 9 VI 17 სთ. გამოსვენება 10 VI, 14 სთ. მისამართი ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. 48, ბ 3.

აკად. კ. ვ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ექიმი მეან-გინეკოლოგი

ლამარა რამიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი იუწყება, რომ გარდაიცვალა ცენტრის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის ლაურეატი

ციალა ქურციკიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

## მეცნიერებმა დიაბეტს შანსები არ დაუტოვეს

**გამარჯობათ, 12 წლის წინათ ავად გავხდი დიაბეტით. ავადმყოფობის სამი წლის შემდეგ კატასტროფულად მოვიმატე წონაში, დაირღვა საჭმლის გადამუშავება, თავი მაგრძნობინა ღვიძლმა. დროთა განმავლობაში სიმპტომებს დაემატა ჰიპერტონია. ექიმებმა დამინიშნეს სხვადასხვაგვარი თერაპია, რათა ნორმაში დამეცვა შაქარი და ამან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიშველა. სამწუხაროდ, წონა კვლავ მემატება, სისხლძარღვების მდგომარეობა გაუარესდა და წნევასთან დაკავშირებითაც სულ უფრო რთულად ხდება საქმე. ამას წინათ წავიკითხე გლიკოერგის შესახებ. მასწავლეთ ჩემს შემთხვევაში თუ დამეხმარება იგი? მე დიაბეტისა და ზედმეტი წონის გარდა მაქვს ჰიპერტონიაც და ღვიძლის მდგომარეობაც ცუდია.**

**თამარი, ტყიბული**



ქალბატონო თამარ, გლიკოერგის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ ეს არის კომპლექსური მოქმედების საშუალება. ამას გარდა, გლიკოერგს ხუთი დღის განმავლობაში შაქარი სისხლში მოჰყავს ნორმაში და ამ დონეს უნარჩუნებს შემდგომი მიღების დროსაც, მას შეუძლია მნიშვნელოვნად მოახდინოს თქვენი წონის კორექტირება. გლიკოერგი აღადგენს ორგანიზმში ლიპიდურ (ცხიმოვანძ ცვლას. დაეხმარეთ ღვიძლის უჯრედებს, მოახდინონ რეგენირება. იგი ასუფთავებს სისხლძარღვებს ქოლესტერინისგან და სხვა მყარი მოვლენებისგან, რომელთა ფონზეც ვითარდება ჰიპერტონია.

**უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ტელეფონებით: მოსკოვი: (495ძ 921-30-68, (499ძ 246-77-01.**

## დაიჯესტი

### ქალაქს ისეთი ხელმძღვანელი სჭირდება, რომ...



**ტეხასის შტატის პატარა ქალაქ კრებს მერი მანამდე არ ჰყოლია, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს საყიდლებზე გაგზავნილმა 11 წლის ბრაიან მარტინმა მაღაზიის წინ შეკრებილ თანამოქალაქეებს ამ „ხარვეზის“ გამოსწორებას შესთავაზებდა. მისდა გასაკვირად, პატარა მოედანზე ადგილობრივ „ბირჟაზე“ ქალაქის ოცდახუთივე მცხოვრებმა იქვე არჩევნების ჩატარება გადაწყვიტა და იდეის ავტორი ერთხმად აირჩია მერად.**

... მას შემდეგ უკვე ერთი წელი გავიდა, რაც მერი ბრაიან მარტინი, ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ქალაქის მერი თავის მოვალეობას, თანამოქალაქეთა სასიხარულოდ, პირნათლად და წარმატებით ასრულებს.

### რაოდენ სასიამოვნო იქნება...

**მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მეორე ცოლი, 41 წლის ყოფილი მოდელი და მომღერალი კარლა ბრუნი ქველმოქმედებითა და ფრანგული ენის პრობლემებითაა დაკავებული, ჟურნალისტებს მაინც დიდად აოცებთ ის გარემოება, რომ აგერ უკვე ორი წელია რაც ნიუს სტილში გადაღებული მისი ფოტოსურათები კვლავაც იყიდება აუქციონებზე, თუმცა კი საკმაოდ ძვირად. ახლა კი მას ჰოლივუდელი კინორეჟისორის ვუდი ალენის ახალ ფილმში გადაიღებენ.**



— ჯერ არ ვიცი, თუ რა ფილმი იქნება, მაგრამ წინადადებას უკვე დავთანხმდი, — განუცხადა მადამ სარკოზიმ ჟურნალისტებს. — რაოდენ სასიამოვნო იქნება სიბერის ჟამს შვილიშვილებისთვის იმის მოყოლა, რომ თავის ფილმში თვით ვუდი ალენმა გადამიღო!

### სილამაზის ქულები

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ სილამაზე საშინელი ძალაა. თავად განსაჯეთ — ვის მოეწონება კომბოსტოსავით ცხვირის, სქელი თეძოებისა და დაღრეცილი ფეხების ცქერა? არადა, თუ ადამიანი თავადაც მომხიბლავია, მას მით უმეტეს არ ეპიტნავება გომბეშოების ყურება. ჰოდა, როგორც ჩანს, ინტერნეტსაიტის „მშვენიერი ადამიანების ავტორები“ პირველნი მიხვდნენ ამას.**

ახლა მომხიბლავ ქალებსა და მამაკაცებს ერთმანეთის ხილვის, სალონური საუბრის გამართვისა და მხოლოდ ერთმანეთის შეყვარების შესაძლებლობა აქვთ. 2002 წელს საიტი ამოქმედდა დანიაში, ახლა კი მთელ მსოფლიოშია ხელმისაწვდომი. მასში მოხვედრის წესი მარტივია: დაწერ სახელსა და გვარს და საკუთარ ფოტოებს რეფერენდუმზე გამოფენ, ხოლო ხმას სხვა სქესის წარმომადგენლები გაძლევენ ათბალიანი სისტემით. ორ დღეში კი პასუხს მიიღებ: „შემოგვიერთდით, პატივცემულო, თქვენ ლამაზი ხართ!“ ანდა „უკაცრავად, ძალიან შეუხედავი ბრძანდებით!“



საამგენტო SNN-ის ცნობით საიტი „მშვენიერი ადამიანები“ მსოფლიოში ყველაზე მიმზიდველი ინტერნეტ-რესურსია. საიტმა უარყო 190 ქვეყნიდან გამოგზავნილი 1,8 მილიონი განაცხადი, ხოლო რეგისტრაცია მხოლოდ ხუთჯერ ნაკლებმა, 360 ათასმა „კონკურსანტმა“ შეძლო.

სტატისტიკით ყველაზე ცუდი შესახედავები ბრიტანელი და რუსი მამაკაცები არიან, რომელთაგან „გამსვლელ ქულებს“, შესაბამისად, 12 და 9 პროცენტი აგროვებს. ყველაზე უშნო ქალებიც ბრიტანეთში ცხოვრობენ: იქაური კონკურსანტების 85 პროცენტს იწუნებენ. ყველაზე ლამაზი მამაკაცები შვეციაში ცხოვრობენ — კასტინგს მათი 65 პროცენტი გადის. რუსეთელ ქალთაგან „გამსვლელ ქულებს“ მხოლოდ 44 პროცენტი აგროვებს, შვედებისა — 68, ყველაზე მაღალი „რეიტინგი“ კი ნორვეგიელ ქალიშვილებს აქვს — 76 პროცენტი.

## დღის კალენდარი

### 9 ივნისი

**ღირსისა ბასილისა, მეფე ბაგრატ III-ის ძისა (XI ს; ღირსისა მიქაელ პარეხელისა (VIII-IX ს; მღვდელმოწამისა თერაპონტისა, სარდიელი ეპისკოპოსისა (III ს; მოწამეთა თეოდორა ქალწულისა და დიდიმო მხედრისა (304 ს; მართლისა იოანე რუსისა, აღმსარებლისა (1730 ს.**



ამოდის 04.24
ჩადის 19.34



ამოდის 17.30
ჩადის 02.21

### დაიბადნენ:

**1672 — პეტრე I,** რუსეთის პირველი იმპერატორი, სანკტ-პეტერბურგის დამაარსებელი. გარდაიცვალა 1725 წელს.

**1781 — ჯორჯ სტეფენსონი,** ინგლისელი კონსტრუქტორი და გამომგონებელი, პირველი ორთქლმავლის ავტორი. გარდაიცვალა 1848 წელს.

**1812 — იოჰან გოტფრიდ ჰაალე,** გერმანელი კონსტრუქტორი, 1846 წელს აღმოაჩინა პლანეტა ნეპტუნი. გარდაიცვალა 1910 წელს.

**1843 — ბერტა ფონ ზუტნერი,** ავსტრიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1943 წელს.

**1872 — კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი,** გამოჩენილი რეჟისორი, თეატრის მოღვაწე. გარდაიცვალა 1933 წელს.

**1940 — რისმაგ გორდეზიანი,** ფილოლოგი, საქართველოსა და საქსონიის (გერმანია) მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

### გარდაიცვალნენ:

**68 — ნერონი,** რომის მეხუთე იმპერატორი, თავი მოიკლა.

**1870 — ჩარლზ დიკენსი,** ინგლისელი მწერალი.

**1974 — მიგელ ანხელ ასტურიასი,** გვატემალელი მწერალი, დიპლომატი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1989 — ჯორჯ უელს ბიდლი,** ამერიკელი გენეტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1994 — იან ტინბერგენი,** ჰოლანდიელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1935** — საბჭოთა კავშირში დაწესდა სიკვდილით დასჯა საზღვარგარეთ გაქცევისთვის.

**1967** — ექვსდღიანი ომის დროს ისრაელის არმიამ მიაღწია სუეცის არხს. ეგვიპტე და მისი მოკავშირეები დამარცხდნენ.

**ღირსსახსოვარი დღე:**

**უგანდა** — გმირების დღე.

**დსთ** — მსუბუქი მრეწველობის დღე.

**აშშ, ოკლაჰომა** — მოხუცების დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +19 — +28 |
| ქუთაისი. | +19 — +26 |
| ბათუმი. | +20 — +31 |
| ზუგდიდი. | +21 — +32 |
| თელავი. | +18 — +32 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8650 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2339 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7052 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.8685 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



## კადრი



## ანეკდოტები

პოლიკლინიკაში ერთმა ჭირვეულმა პაციენტმა თავი მოაბეზრა ექიმს, მისი ავადმყოფობის ისტორიას რომ კითხულობს. შეწუხებულმა ექიმმა მრისხანედ ჰკითხა:

— ალკოჰოლს ბოროტად იყენებთ?!

შეშინებული პაციენტი:

— არა, არა! ბოროტად კი არა, დიდი სიამოვნებით!

* * *

მიხო ეკითხება მეზობელს:

— ჯო, ეგ როგორ ხდება, რომ შენი ძროხა დღეში 30 ლიტრ რძეს იწველის, ჩემი კი 10-საც კი ვერა?



— ძალიან უბრალოდ, აქ მთავარი ფსიქოლოგიაა, დილით მასთან რომ შევდივარ, მკაცრად ვეკითხები, დღეს რა ვქნა, ბაზარში რძე გავიტანო თუ ხორცი?!

* * *

თუ გინდა, კაცს სკლეროზი დამართო, ფული ასესხე.

* * *

განცხადება:

„გთხოვთ, გამაგზავნოთ ხელფასის ამაღლების კურსებზე“.

* * *

— შე უსინდისო, არ გრცხვენია? მე ხომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შენ შემოგწირე?

— ღმერთო, მიშველე! ნუთუ წინ უარესი წლები მომელის?!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.